

**ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს განჩინებათა და
გადაწყვეტილებათა კრებული
საქართველოს საქმეებზე**

2013 წელი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო
ადამიანის უფლებათა ცენტრი**

თბილისი

2014

**EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
JUDGMENTS AND DECISIONS v. GEORGIA
2013**

**The Supreme Court Of Georgia
Human Rights Centre**

Tbilisi
2014



კრებული შეადგინა და დაამუშავა

თინათინ ბაჟაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადამიანის უფლებათა ცენტრი

სტილისტი

თინათინ ქოქრაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი



The Collection was compiled and elaborated in the
Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia by

TINATIN BEZHASHVILI

Style Editor

TINATIN KOKRASHVILI

Graphics Editor

MARIKA MAGHALASHVILI

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	7
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები	9
ჯაში საქართველოს წინააღმდეგ	51
ილდანი საქართველოს წინააღმდეგ	61
ომარ ლანჩავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (დაუშვებლად ცნობა)	68
მაია ოყროშიძე და გიორგი ოყროშიძე საქართველოს წინააღმდეგ (მხარეთა მორიგება)	72
თამაზ ბერიძე საქართველოს წინააღმდეგ (ცალმხრივი დეკლარაცია)	76

PREFACE

Preface	8
European Convention of Human Rights	9
Case of Jashi v. Georgia (№10799/06)	51
Case of Ildani v. Georgia (№65391/09)	61
Case of Omar Lanchava and Others v. Georgia (№25678/09)	68
Maya Okroshidze and Giorgi Okroshidze v. Georgia (№60596/09)	72
Case of Tamaz Beridze v. Georgia (№16206/06)	76

წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი ტრადიციულად განაგრძობს საქართველოს საქმეებზე სტრასბურგის სასამართლოს განჩინებებისა და გადაწყვეტილებების ყოველწლიური კრებულის გამოცემას. ჩვენი მიზანია, ყველა დაინტერესებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა, გაეცნოს საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებს.

საქართველოსთან მიმართებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის და საჭიროა თითოეულ მათგანზე ჯეროვანი ყურადღების გამახვილება, რადგან ეროვნული სასამართლოებისთვის არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიცაა, კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება.

თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა 10,000-ზე მეტი გადაწყვეტილება, რომლებიც სავალდებულოა მოცემული ქვეყნებისათვის და ინვესტ მთავრობების მიერ მათი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ცვლილებას მრავალ სფეროში. სასამართლოს პრაქტიკა კონვენციას ძლიერ ცოცხალ ორგანიზმად აქცევს, რომელიც მზადაა შეხვდეს ახალ გამოწვევებს და მოახდინოს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის კონსოლიდაცია ევროპაში. ევროპის საბჭოს პოლიტიკა ამ სფეროში მოიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერების ზომებს, საქმეთა გასაჩივრების პროცედურების გასაუმჯობესებლად უფრო სრულყოფილ მექანიზმებს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების, პროცედურების გამარტივებისა და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის სფეროებში. ამას გარდა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მხარს უჭერს, აგრეთვე, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო სისტემის ეფექტიანობა და ხარისხი.

P R E F A C E

Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia published the fifth annual edition of European Court of Human Rights judgments concerning Georgia.

All these judgments about Georgia are to the utmost important for our country and each of them must be treated with due attention by national courts, for it is not only expedient, but necessary to exercise the European Court's Case Law together with the Convention.

In almost fifty years the Court has delivered more than 10,000 judgments. These are binding on the countries concerned and have led governments to alter their legislation and administrative practice in a wide range of areas. The Court's case-law makes the Convention a powerful living instrument for meeting new challenges and consolidating the rule of law and democracy in Europe. An efficient independent judicial system is one of the Council of Europe's first priorities and its Committee of Ministers has adopted many instruments to make them fair and effective. Its policy includes measures to reinforce judicial independence and impartiality, improved appeal procedures, better mechanisms for executing court decisions, simplifying procedure and extending legal aid. It also encourages the use of new information technologies to ensure speed effectiveness and quality of the judicial system.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

კონვენცია

რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი

ქვემოთ ხელმოწერი მთავრობები, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები,

ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, გამოცხადებულს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს;

მხედველობაში იღებენ, რომ ეს დეკლარაცია მიზნად ისახავს მასში გაცხადებულ უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი აღიარებისა და დაცვის უზრუნველყოფას;

მიიჩნევენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა, რისთვისაც ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი ხორცშესხმა;

კვლავაც ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას იმ ძირითადი თავისუფლებებისადმი, რომელთაც ეფუძნება საყოველთაო სამართლიანობა და მშვიდობა და, რომელთა საუკეთესო დაცვა ხორციელდება, ერთი მხრივ, ქმედითი პოლიტიკური დემოკრატიითა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და უზრუნველყოფით, რასაც ისინი ემყარებიან;

როგორც მთავრობები იმ თანამოაზრე ევროპულ ქვეყნებისა, რომელთაც აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, მზად არიან გადადგან პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებულ გარკვეულ უფლებათა ერთობლივი აღსრულებისათვის,

და, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 – ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

პარი I - უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 2 - სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება ვინმეს განზრახ მოკვდინება, თუ არა სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.
2. მოკვდინება არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:
 - a) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;
 - b) კანონიერი დაკავებისათვის, ანდა კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;
 - c) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისათვის აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

მუხლი 3 – წამების აკრძალვა

ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

მუხლი 4 – მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში.
2. არავის შეიძლება დაეკისროს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება.
3. ამ მუხლის აზრით, „იძულებით ან სავალდებულო შრომად“ არ განიხილება:
 - a) ნებისმიერი სამუშაო, რომლის შესრულებაც ჩვეულებრივ, სავალდებულოა პატიმრობისას, რაც შეფარდებულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად, ან ასეთი პატიმრობიდან პირობითი თავისუფლების განმავლობაში;
 - b) სამხედრო ხასიათის ნებისმიერი სამსახური, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად დაკისრებული სამსახური იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა მართლზომიერადაა მიჩნეული;
 - c) ნებისმიერი სამსახური, დაკისრებული საგანგებო მდგომარეობის ან საერთო უბედურების ფაშს, რაც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლესა და კეთილდღეობას;
 - d) ნებისმიერი სამუშაო თუ სამსახური, რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ ვალდებულებებს განეკუთვნება.

მუხლი 5 – თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძ-

ლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- a) კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირისა;
 - b) კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის, ანდა კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;
 - c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.
 - d) არასრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;
 - e) პირის კანონიერი დაპატიმრება გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მანანწალის კანონიერი დაპატიმრება;
 - f) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, აგრეთვე იმისა, ვის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებანი მისი გაძევების (დეპორტაცია) ან გადაცემისათვის (ექსტრადიცია).
2. დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის ნაყენებული ყველა ბრალდება.
 3. ამ მუხლის 1 „c“ პუნქტით გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და იგი აღჭურვილია უფლებით, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით.
 4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს და ბრძანებს მის გათავისუფლებას, თუ ეს დაპატიმრება უკანონოა.
 5. ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დაპატიმრეს, აქვს რეპარაციის ქმედითი უფლება.

მუხლი 6 – საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის

გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადანყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი ნებსრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საქვეყნობა დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესს.

2. ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.
3. ყოველ ბრალდებულს აქვს სულ მცირე, შემდეგი უფლებები:
 - a) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დანვრილებით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;
 - b) ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;
 - c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;
 - d) თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები, და, გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში;
 - e) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

მუხლი 7 – არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

1. არავინ შეიძლება ბრალეულად იქნეს მიჩნეული რაიმე დანაშაულში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმ დროს, როდესაც იგი ჩაიდინეს. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს.
2. ეს მუხლი არ ვრცელდება იმ პირის გასამართლებასა და დასჯაზე მოქმედებისა თუ უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის დანაშაულს წარმოადგენდა ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად.

მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმონერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 9 – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, თავისუფლებას იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით.
2. რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლება მხოლოდ იმ პირობით შეიზღუდება, თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 10 – აზრის გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.
2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობისა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უნესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებულ ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 11 – შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის, პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა გარდა იმ შემთხვევისა,

როცა ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, ამ უფლების განხორციელებაზე დაანესოს კანონიერი შეზღუდვები შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიმართ.

მუხლი 12 – ქორწინების უფლება

საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც ანესრიგებენ ამ უფლების განხორციელებას.

მუხლი 13 – ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება

ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც ოფიციალურ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

მუხლი 14 – დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.

მუხლი 15 – კონვენციიდან უკან დახევა საგანგებო მდგომარეობის დროს

1. ომის ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან უკან დახევის მიზნით მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე და იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მის სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს.
2. დაუშვებელია წინარე პუნქტის საფუძველზე კონვენციის მე-2 მუხლიდან უკან დახევა, გარდა მართლზომიერი საომარი მოქმედებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევისა, აგრეთვე, უკანდახევა მე-3, მე-4 (პუნქტი 1) და მე-7 მუხლებიდან.
3. ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც იყენებს უკან დახევის უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას გატარებული ღონისძიებებისა და მათი მიზეზების შესახებ. იგი აგრეთვე ატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთ ღონისძიებათა შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა სრულად ამოქმედების თარიღს.

მუხლი 16 – უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა

მე-10, მე-11 და მე-14 მუხლები არ გულისხმობს დაბრკოლებას მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისათვის, დაანესონ შეზღუდვები უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე.

მუხლი 17 – უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ადამიანთა ჯგუფის ან ცალკეული პირის უფლებას, ეწეოდეს საქმიანობას, ან ასრულებდეს მოქმედებას, რომელიც გამიზნულია, არარად აქციოს ამ კონვენციით გაცხადებული რომელიმე უფლება ან თავისუფლება, ან და შეზღუდოს იგი იმაზე მეტად, ვიდრე ეს საკუთრივ კონვენციით არის გათვალისწინებული.

მუხლი 18 – უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები

დაუშვებელია ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენება არა იმ მიზნით, რისთვისაც ისინია გათვალისწინებული.

პარი II – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მუხლი 19 – სასამართლოს დაარსება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად არსდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც ამიერიდან მოიხსენიება როგორც „სასამართლო“. ის მუდმივმოქმედი ორგანოა.

მუხლი 20 – მოსამართლეთა ოდენობა

სასამართლოს შემადგენლობაში იმდენი მოსამართლეა, რამდენიც არის მაღალი ხელშემკვრელი მხარე.

მუხლი 21 – სამოსამართლო კრიტერიუმები

1. მოსამართლეს უნდა ახასიათებდეს მაღალი მორალური თვისებები და, ან უნდა აკმაყოფილებდეს მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ პირობებს, ან წარმოადგენდეს აღიარებულ კომპეტენტურ სამართალმცოდნეს.
2. სამოსამართლო საქმიანობას მოსამართლე ახორციელებს თავისი ინდივიდუალური უფლებამოსილებით.
3. თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია მის დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან. ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხს სასამართლო გადაწყვეტს.

მუხლი 22 – მოსამართლის არჩევა

1. თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარისაგან მოსამართლეს ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატისაგან შემდგარი სიიდან, მიცემულ ხმათა უმრავლესობით.
2. ამავე პროცედურით ხორციელდება სასამართლოს შემადგენლობის შევსება ახალი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შემოერთების, ან შესაძლო ვაკანსიის გაჩენისას.

მუხლი 23 – უფლებამოსილების ვადა

1. მოსამართლეს ირჩევენ ექვსი წლის ვადით. მისი ხელახალი არჩევა შესაძლებელია. თუმცა, პირველ არჩევნებზე არჩეულ მოსამართლეთა ნახევარს უფლებამოსილება ამოწურება სამი წლის შემდეგ.
2. იმ მოსამართლეებს, რომელთაც უფლებამოსილების ვადა თავდაპირველი სამი წლის შემდეგ ამოწურებათ, წილის ყრის მეშვეობით განსაზღვრავს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი მათი არჩევისთანავე.
3. იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილ იქნეს ყოველ სამ წლიწინადში მოსამართლეთა შემადგენლობის ნახევრის განახლება, საპარლამენტო

ასამბლეას, ყოველი მომდევნო საარჩევნო პროცედურის დაწყებამდე, შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ერთი ან მეტი ასარჩევი მოსამართლის უფლებამოსილების ხანგრძლივობა ექვსი წლით კი არ განისაზღვროს, არამედ სხვა ვადით, მაგრამ, არაუმეტეს ცხრა, და არანაკლებ სამი წლისა.

4. იმ შემთხვევაში, როცა საკითხი შეეხება ერთზე მეტ უფლებამოსილებას და საპარლამენტო ასამბლეა იყენებს წინა პუნქტის დებულებას, თითოეული უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობას წილის ყრით განსაზღვრავს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი არჩევნების დამთავრებისთანავე.
5. იმ მოსამართლის ნაცვლად არჩეული მოსამართლე, რომლის უფლებამოსილების ვადა ამოწურული არ არის, თანამდებობას იკავებს მისი წინამორბედის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.
6. მოსამართლის უფლებამოსილების ვადა იწურება 70 წლის ასაკის მიღწევისთანავე.
7. თანამდებობაზე მოსამართლე რჩება მის შეცვლამდე. თუმცა, ის განაგრძობს მასზე გაპროვინებულ საქმეთა განხილვას.

მუხლი 24 – თანამდებობიდან გათავისუფლება

არ შეიძლება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, თუ სხვა მოსამართლეების უმრავლესობა ხმათა ორი მესამედით არ გადაწყვეტს, რომ იგი ველარ აკმაყოფილებს ნაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 25 – სამდივნო და იურისტი რეფერენტები

სასამართლოს აქვს სამდივნო, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია განისაზღვრება სასამართლოს რეგლამენტით. სასამართლოს თანაშემწეობას უწევენ იურისტი რეფერენტები.

მუხლი 26 – სასამართლოს პლენუმი

სასამართლოს პლენუმი:

- a) ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ერთ ან ორ მოადგილეს სამი წლით. მათი ხელახალი არჩევა შესაძლებელია;
- b) ქმნის პალატებს განსაზღვრული ვადით;
- c) ირჩევს სასამართლოს პალატების თავმჯდომარეებს. მათი ხელახალი არჩევა შესაძლებელია;
- d) იღებს სასამართლოს რეგლამენტს, და
- e) ირჩევს სასამართლოს გამწესრიგებელსა და მის ერთ ან მეტ მოადგილეს.

მუხლი 27 – კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. სასამართლოში შემოსულ საქმეებს განიხილავენ კომიტეტები სამი მოსამართლის შემადგენლობით, პალატები შვიდი მოსამართლის შემადგენლობით და დიდი პა-

ლატა ჩვიდმეტი მოსამართლის შემადგენლობით. კომიტეტებს სასამართლოს პალატები ქმნიან განსაზღვრული ვადით.

2. მოსამართლე, არჩეული იმ სახელმწიფოსაგან, რომელიც განსახილველ საქმეზე მხარეს წარმოადგენს, არის პალატის ან დიდი პალატის *ex officio* წევრი. თუ ასეთი მოსამართლე არ არის, ან თუ მოსამართლეს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მოცემული საქმის განხილვაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ სახელმწიფოს მიერ შერჩეული პირი.
3. დიდ პალატას აგრეთვე შეადგენენ სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პალატის თავმჯდომარეები და სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად შერჩეული სხვა მოსამართლეები. როცა საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატას 43-ე მუხლის საფუძველზე, დიდი პალატის სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებს განჩინების გამომტანი პალატის ვერც ერთი მოსამართლე, გარდა პალატის თავმჯდომარისა და მოსამართლისა იმ სახელმწიფოდან, რომელიც მხარეა მოცემულ საქმეში.

მუხლი 28 – საჩივრის მიუღებლად ცნობა კომიტეტის მიერ

კომიტეტს შეუძლია ერთხმად გადაწყვეტილებით მიუღებლად ცნოს ან ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური საჩივარი, თუ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია საჩივრის შემდგომი შესწავლის გარეშე. ასეთი გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 29 – პალატის გადაწყვეტილება საჩივრის მისაღებობისა და საქმის არსებითი მხარის შესახებ

1. თუ 28-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, პალატა გამოიტანს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური საჩივრის მისაღებობისა და საქმის არსებითი მხარის შესახებ.
2. პალატა იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს მიერ 33-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი საჩივრის მისაღებობისა და საქმის არსებითი მხარის შესახებ.
3. საჩივრის მისაღებობის გადაწყვეტილება გამოიტანება ცალკე, თუ, გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლომ სხვა რამ არ გადაწყვიტა.

მუხლი 30 – დიდი პალატისათვის იურისდიქციის გადაბარება

თუ პალატაში განსახილველი საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტებისათვის სერიოზულ საკითხს, ან თუ პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს უწინდელ განჩინებასთან შეუთავსებელი შედეგი, განჩინების გამოტანამდე პალატას შეუძლია თავისი იურისდიქცია გადააბაროს დიდ პალატას, თუ არც ერთი მხარე ამის წინააღმდეგი არ არის.

მუხლი 31 – დიდი პალატის უფლებამოსილება

დიდი პალატა:

- a) განიხილავს 33-ე და 34-ე მუხლების შესაბამისად წარდგენილ საჩივრებს, როდესაც მას თავისი იურისდიქცია გადააბარა პალატამ 30-ე მუხლის მიხედვით, ან როდესაც მას საქმე გადაეცა 43-ე მუხლის საფუძველზე;
- b) განიხილავს 47-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ მოთხოვნებს საკონსულტაციო დასკვნის მიცემის თაობაზე.

მუხლი 32 – სასამართლოს იურისდიქცია

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლების შესაბამისად.
2. სასამართლოს იურისდიქციასთან დაკავშირებულ ყოველგვარ სადავო საკითხს თავად სასამართლო გადაწყვეტს.

მუხლი 33 – სახელმწიფოთშორისი საქმეები

ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია სასამართლოში აღძრას საკითხი სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციისა და მისი ოქმების ნაგულვეტი დარღვევის შესახებ.

მუხლი 34 – ინდივიდუალური საჩივარი

საჩივრით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ნებიმიერმა ფიზიკურმა პირმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ ან ცალკეულ პირთა ჯგუფმა, რომელსაც მიაჩნია, რომ მსხვერპლია რომელიმე მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციითა ან მისი ოქმებით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევისა. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით დააბრკოლონ ამ უფლების სრულად განხორციელება.

მუხლი 35 – მისაღებობის წინაპირობები

1. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მაშინ მიიღოს საქმე განსახილველად, თუ ამონაწერი ყველა შიდა სამართლებრივი მისაგებელი (გასაჩივრების საშუალება) საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გაგებით და არ არის გასული ექვს თვეზე მეტი საქმეზე შიდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან.
2. სასამართლო მიუღებლად ცნობს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ საჩივარს, თუ ის:
 - a) ანონიმურია, ან
 - b) არსებითად იგივეა, რაც სასამართლოს მიერ უკვე განხილული საჩივარი, ან უკვე გადაეცა მოკვლევის ან მოგვარების სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ინ-

სტანციას და არ შეიცავს ახალ შესატყვის ფაქტობრივ გარემოებებს.

3. სასამართლო მიუღებლად ცნობს 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ინდივიდუალურ საჩივარს, თუ მიიჩნევს, რომ იგი შეუთავსებადია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, ამკარად უსაფუძვლოა, ან წარმოადგენს საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებას.
4. სასამართლო უარს ეტყვის ყველა საჩივარს, რომელსაც მიუღებლად ცნობს ამ მუხლის საფუძველზე. ამის უფლება მას აქვს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

მუხლი 36 – მესამე მხარის ჩართვა

1. პალატის ან დიდი პალატის მიერ განსახილველ ყველა საქმეზე, მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის მოქალაქეც არის მომჩივანი, უფლება აქვს წარუდგინოს სასამართლოს წერილობითი განმარტება და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენაში.
2. მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების მიზნით, წერილობითი განმარტების წარსადგენად ან საქმის მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც არ წარმოადგენს პროცესის მხარეს მოცემულ საქმეში, ან სხვა დაინტერესებული პირი, რომელიც არ არის მომჩივანი ამ საქმეზე.

მუხლი 37 – საჩივრის ამორიცხვა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან

1. პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხოს საჩივარი, თუ გარემოებათა ძალით ის დაასკვნის, რომ:
 - a) მომჩივანს აღარ აქვს განზრახული ბოლომდე მისდიოს თავის საჩივარს;
 - b) დავა გადაწყდა;
 - c) სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზით, საჩივრის შემდგომი შესწავლა აღარ არის გამართლებული.თუმცა, სასამართლო მაინც განაგრძობს საჩივრის შესწავლას, თუ კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრულ უფლებათა დაცულობა ამას მოითხოვს.
2. სასამართლოს შეუძლია, აღადგინოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხაში, თუ გარემოებათა ძალით ამას გამართლებულად მიიჩნევს.

მუხლი 38 – საქმის განხილვა და მორიგების პროცედურა

1. თუ საჩივარი სასამართლომ მისაღებად ცნო, იგი:
 - a) განაგრძობს მის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, შეუდგება საქმის გარემოებათა გამოძიებას, რომლის ქმედითი წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას ყველა აუცილებელი საშუალებით;

- b) სთავაზობს დაინტერესებულ მხარეებს თავის სამსახურს საქმეზე მორიგების მისალმნევად კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების დაცვის სულისკვეთებით.
2. 1(b) პუნქტის შესაბამისად წარმართული პროცედურა კონფიდენციალურია.

მუხლი 39 – მორიგების მიღწევა

თუ მორიგება მიღწეულია, სასამართლო საჩივარს ამორიცხავს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან შესაბამისი გადანყვეტილებით, რომელიც ფაქტებისა და მიღწეული შეთანხმების არსის მოკლე გადმოცემით შემოიფარგლება.

მუხლი 40 – ღია სასამართლო მოსმენა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობა

1. საქმის სასამართლო მოსმენა ღიაა, თუ გამონაკლის შემთხვევაში სასამართლომ სხვა რამ არ გადაწყვიტა.
2. სასამართლოს გამწესრიგებელთან შენახული დოკუმენტები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, თუ სასამართლოს თავმჯდომარემ სხვა რამ არ გადაწყვიტა.

მუხლი 41 – სამართლიანი დაკმაყოფილება

თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.

მუხლი 42 – პალატის განჩინება

პალატის განჩინება საბოლოოა 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას.

მუხლი 43 – დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა

1. პალატის განჩინების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს, გამონაკლის შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.
2. დიდი პალატის კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით დაეთანხმება ამ მოთხოვნას, თუ საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტების ან გამოყენებისათვის სერიოზულ საკითხს, ან – საერთო მნიშვნელობის სხვა სერიოზულ საკითხს.
3. თუ კოლეგია დაეთანხმება მოთხოვნას, დიდი პალატა საქმეს გადაწყვეტს განჩინების გამოტანით.

მუხლი 44 – საბოლოო განჩინება

1. დიდი პალატის განჩინება საბოლოოა.
2. პალატის განჩინება საბოლოოა, როდესაც:
 - a) მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას, ან
 - b) პალატის განჩინების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში მათ არ მოუთხოვიათ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა, ან
 - c) დიდი პალატის კოლეგია უარყოფს 43-ე მუხლის საფუძველზე საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნას.
3. საბოლოო განჩინება ქვეყნდება.

მუხლი 45 – განჩინებისა და გადაწყვეტილების დასაბუთება

1. სასამართლოს განჩინება და გადაწყვეტილება, რომელიც საჩივარს მისაღებად ან მიუღებლად ცნობს, უნდა დასაბუთდეს.
2. თუ განჩინება მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთხმივ აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს ცალკე აზრი.

მუხლი 46 – განჩინების სავალდებულო ძალა და აღსრულება

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო განჩინებებს საქმეებზე, რომლებშიც ისინი მხარეს წარმოადგენენ.
2. სასამართლოს საბოლოო განჩინება ეგზავნება მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.

მუხლი 47 – საკონსულტაციო დასკვნები

1. მინისტრთა კომიტეტის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნა კონვენციისა და მისი ოქმების განმარტების სამართლებრივ საკითხებზე.
2. ამგვარი დასკვნა არ უნდა ვრცელდებოდეს ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეეხება კონვენციის I კართა და ოქმებით განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსსა და მათ ფარგლებს, და არც ისეთ საკითხებზე, რომელთა განხილვა სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტს შესაძლოა მოუწიოს კონვენციის შესაბამისად აღძრული პროცედურის შედეგად.
3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გამოთხოვის შესახებ მიიღება კომიტეტზე დასწრების უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 48 – სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია

სასამართლოს გადასაწყვეტია, განეკუთვნება თუ არა მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი მოთხოვნა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ სასამართლოს იურისდიქციას 47-ე მუხლის გაგებით.

მუხლი 49 – საკონსულტაციო დასკვნის დასაბუთება

1. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა უნდა დასაბუთდეს.
2. თუ საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთხმივ აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს ცალკე აზრი.
3. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა ეგზავნება მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 50 – სასამართლოს შენახვის ხარჯები

სასამართლოს შენახვის ხარჯებს გაიღებს ევროპის საბჭო.

მუხლი 51 – მოსამართლის პრივილეგიები და იმუნიტეტი

თავისი უფლებამოსილების განხორციელების განმავლობაში მოსამართლე სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუნიტეტით, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლითა და მის საფუძველზე დადებული შეთანხმებებით.

პარი III – სხვადასხვა დებულებები

მუხლი 52 – გენერალური მდივნის მოთხოვნა

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის შესაბამისი მოთხოვნით, ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე წარმოადგენს განმარტებას, თუ რა გზით უზრუნველყოფს მისი შიდა სამართალი კონვენციის დებულებათა სრულად განხორციელებას.

მუხლი 53 – აღიარებულ უფლებათა უზრუნველყოფა

ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ მან შეზღუდოს ან ხელყოს ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, რომლებიც აღიარებულია მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართლით ან მისი მონაწილეობით დადებული ნებისმიერი შეთანხმებით.

მუხლი 54 – მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება

ამ კონვენციის ვერც ერთი დებულება ვერ ხელყოფს მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილებას, რომლითაც ის აღჭურვილია ევროპის საბჭოს წესდების საფუძველზე.

მუხლი 55 – დავის მოგვარების სხვა საშუალებათა უარყოფა

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ, საგანგებო შეთანხმების გარეშე, არ მიმართავენ მათ შორის მოქმედ ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს ან დეკლარაციებს, რათა ამ კონვენციის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავა, საჩივრის წარდგენის გზით, განსახილველად დაუქვემდებარონ მოგვარების სხვა პროცედურას, გარდა ამ კონვენციით გათვალისწინებულისა.

მუხლი 56 – კონვენციის მოქმედება სივრცეში

1. კონვენციის რატიფიკაციისას ან შემდგომში, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი შეტყობინების მეშვეობით, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ წინამდებარე კონვენცია, ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, ვრცელდება ყველა ან რომელიმე ტერიტორიაზე, რომლის საგარეო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.
2. შეტყობინებაში მითითებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე კონვენცია გავრცელდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების შემდეგ ოცდამეათე დღიდან.
3. თუმცა, ასეთ ტერიტორიებზე კონვენციის დებულებათა გამოყენება მოხდება ადგილობრივი მოთხოვნების სათანადოდ გათვალისწინებით.
4. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც განცხადება გააკეთა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მიიღოს ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა ჯგუფის საჩივრები კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 57 – დათქმები

1. ამ კონვენციის ხელმოწერის ან რატიფიკაციის შესაბამისი სიგელების დეპონი-

რებისას, კონვენციის რომელიმე კონკრეტული დებულების მიმართ ყოველ სახელმწიფოს შეუძლია გააკეთოს დათქმა, თუ მის ტერიტორიაზე ამ დროს მოქმედი რომელიმე კანონი ამ დებულებას არ შეესაბამება. საერთო ხასიათის დათქმები ამ მუხლით დაუშვებელია.

2. ამ მუხლის საფუძველზე გაკეთებული ნებისმიერი დათქმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონის არსის მოკლე გადმოცემას.

მუხლი 58 – დენონსაცია

1. მაღალ ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია შეუძლია მის მიმართ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთი წლის შემდეგ და ექვსი თვით ადრე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების მეშვეობით. გენერალური მდივანი ამის შესახებ აცნობებს სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს.
2. დენონსაცია არ ათავისუფლებს მაღალ ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისაგან ისეთი ქმედებისათვის, რომელიც წარმოადგენს ამ ვალდებულებათა შესაძლო დარღვევას და ჩადენილია დენონსაციის ძალაში შესვლამდე.
3. ამავე პირობის თანახმად, ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც შეწყვეტს ევროპის საბჭოს წევრობას, ვერ იქნება ვერც კონვენციის მონაწილე მხარე.
4. კონვენციის დენონსაცია ამ მუხლის წინარე პუნქტების შესაბამისად, შესაძლებელია ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, რომელზედაც მისი გავრცელება გამოცხადდა 56-ე მუხლის საფუძველზე.

მუხლი 59 – ხელმომწერა და რატიფიკაცია

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას. რატიფიკაციის სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.
2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის რატიფიკაციის ათი სიგელის დეპონირების შემდეგ.
3. იმ ხელმომწერის მიმართ, რომელიც შემდგომში მოახდენს რატიფიკაციას, კონვენცია ძალაში შედის შესაბამისი რატიფიკაციის სიგელის დეპონირებისთანავე.
4. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს ყველა წევრს აცყობინებს კონვენციის ძალაში შესვლის, რატიფიკაციის მომხდენ მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა ვინაობისა და ყოველი შემდგომში დეპონირებული რატიფიკაციის სიგელების შესახებ.

* * *

შესრულებულია რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამონმებულ ასლებს გენერალური მდივანი უგზავნის კონვენციის ყველა ხელმომწერს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ო ქ მ ი

პარიზი, 1952 წლის 20 მარტი

ქვემოთ ხელმოწერმა მთავრობებმა, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები,

გადაწყვიტეს გადადგან ნაბიჯები იმ უფლებათა და თავისუფლებათა ერთობლივი დაცვის უზრუნველყოფისათვის, რომლებსაც არ მოიცავს 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ამიერიდან მოიხსენიება, როგორც „კონვენცია“) 1-ლი კარი,

და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 – საკუთრების დაცვა

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად, საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2 – განათლების უფლება

არავის შეიძლება აღეკვეთოს განათლების უფლება. განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებული მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას, სახელმწიფო პატივს სცემს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება.

მუხლი 3 – თავისუფალი არჩევნების უფლება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ, გონივრული ხანგამოშვებით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.

მუხლი 4 – ოქმის მოქმედება სივრცეში

ოქმის ხელმოწერის ან რატიფიკაციისას ან, შემდგომში, ნებისმიერ დროს, ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია განცხადება გაუგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში კისრულობს ის წინამდებარე ოქმის დებულებების გავრცელებას განცხადებაში მითითებულ იმ ტერიტორიებზე, რო-

მელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც განცხადება წარადგინა წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია დროგამოშვებით გააგზავნოს შემდგომი განცხადებანი, რომელიმე წინა განცხადებაში მითითებული პირობების შეცვლის ან რომელიმე ტერიტორიაზე ამ ოქმის დებულებათა გავრცელების შეწყვეტის შესახებ.

ამ მუხლის შესაბამისი განცხადება განიხილება, როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.

მუხლი 5 – კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1-ლ, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებს მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განიხილავენ როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და, მათთან მიმართებაში, კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 6 – ხელმოწერა და რატიფიკაცია

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. მისი რატიფიკაცია მოხდება კონვენციის რატიფიკაციასთან ერთად ან მის შემდეგ. იგი ძალაში შედის რატიფიკაციის ათი სიგელის დეპონირების შემდეგ. იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომ მოახდენს მის რატიფიკაციას, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის სიგელის დეპონირებისთანავე.

რატიფიკაციის სიგელის დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან, რომელიც ყველა წევრ სახელმწიფოს აცყობინებს, თუ ვინ მოახდინა ოქმის რატიფიკაცია.

შესრულებულია პარიზში, 1952 წლის 20 მარტს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამონმებულ ასლებს გენერალური მდივანი უგზავნის ოქმის ხელმომწერ თითოეულ მთავრობას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

ო ქ მ ი №4

იმ უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის შესახებ,
რომლებსაც არ მოიცავს კონვენცია და მისი პირველი ოქმი

სტრასბურგი, 1963 წლის 16 სექტემბერი

ქვემოთ ხელმოწერმა მთავრობებმა, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები,

გადაწყვიტეს გადადგან ნაბიჯები გარკვეულ უფლებათა და თავისუფლებათა ერთობ-
ლივი უზრუნველყოფისათვის, რომელთაც არ მოიცავს 1950 წლის 4 ნოემბერს რომში
ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენ-
ციის (ამიერიდან მოიხსენიება, როგორც “კონვენცია”) I კარი, 1952 წლის 20 მარტს
პარიზში ხელმოწერილი მისი პირველი ოქმის 1-3 მუხლები

და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 – ვალაუვალობის გამო თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა

არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება მხოლოდ იმის გამო, რომ არ შესწევს
უნარი შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება.

მუხლი 2 – მიმოსვლის თავისუფლება

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტე-
რიტორიაზე მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება.
2. ყველა თავისუფალია, დატოვოს ნებისმიერი, მათ შორის, საკუთარი ქვეყანა.
3. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაზე შეზღუდვის დაწესება, გარდა იმი-
სა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ სა-
ზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზო-
გადოებრივი წესრიგის შენარჩუნების, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთე-
ლობის ან მორალის დაცვის ინტერესებისათვის ანდა სხვათა უფლებებისა და თავ-
ისუფლებების დასაცავად.
4. ზოგიერთ სივრცეში 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული უფლება ასევე შეიძლე-
ბა დაექვემდებაროს შეზღუდვებს, რომლებიც შემოღებულია კანონის შესაბამი-
სად და გამართლებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი ინ-
ტერესებით.

მუხლი 3 – მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა

1. არავინ შეიძლება გაძევებულ იქნეს ინდივიდუალური ან კოლექტიური ღონისძიე-
ბით იმ ქვეყნის ტერიტორიიდან, რომლის მოქალაქეც ის არის.

2. არავის შეიძლება აღეკვეთოს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის უფლება, რომლის მოქალაქეც ის არის.

მუხლი 4 – უცხოელთა კოლექტიური გადავების აკრძალვა

უცხოელთა კოლექტიური გადავება აკრძალულია.

მუხლი 5 – ოქმის მოქმედება სივრცეში

1. ოქმის ხელმოწერის ან რატიფიკაციისას ან, შემდგომში, ნებისმიერ დროს, ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია განცხადება გაუგზავნოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში კისრულობს ის წინამდებარე ოქმის დებულებების გავრცელებას განცხადებაში მითითებულ იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.
2. ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომელმაც წარადგინა განცხადება წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია დროგამოშვებით გააგზავნოს შემდგომი განცხადებანი, რომელიმე წინა განცხადებაში მითითებული პირობების შეცვლის ან რომელიმე ტერიტორიაზე ამ ოქმის დებულებათა გავრცელების შეწყვეტის შესახებ.
3. ამ მუხლის შესაბამისი განცხადება განიხილება, როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი განცხადება.
4. ყოველი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელზეც ეს ოქმი ვრცელდება სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის ან მიღების საფუძველზე, და თითოეული ტერიტორია, რომელზეც ის ვრცელდება სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილი განცხადების საფუძველზე, განიხილება სხვადასხვა ტერიტორიებად მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული სახელმწიფოს ტერიტორიის განმარტებისათვის.
5. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც წარადგინა განცხადება ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტის შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს შეუძლია განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ განაცხადოს, რომ აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან ცალკეულ პირთა ჯგუფის საჩივრები ამ ოქმის ყველა ან 1-4 მუხლებთან დაკავშირებით.

მუხლი 6 – კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1-ლ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებს მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განიხილავენ როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და, მათთან მიმართებაში, კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 7 – ხელმოწერა და რატიფიკაცია

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. მისი რატიფიკაცია მოხდება კონვენციის რატიფიკაციასთან ერთად, ან მის შემდეგ. იგი ძალაში შედის რატიფიკაციის ხუთი სიგელის

დეპონირების შემდეგ. იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომ მოახდენს მის რატიფიკაციას, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის სიგელის დეპონირებისთანავე.

2. რატიფიკაციის სიგელის დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან, რომელიც ყველა წევრ სახელმწიფოს აცყობინებს, თუ ვინ მოახდინა ოქმის რატიფიკაცია.

ამის დასტურად, ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 1963 წლის 16 სექტემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთდერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამონმებულ ასლებს გენერალური მდივანი უგზავნის ოქმის ხელმომწერ თითოეულ მთავრობას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

ოქმის №6

სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

სტრასბურგი, 1983 წლის 28 აპრილი

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ამიერიდან მოიხსენიება, როგორც “კონვენცია”) ამ ოქმს, მიიჩნევენ, რომ ევროპის საბჭოს რამდენიმე წევრ სახელმწიფოში განხორციელებული წინსვლა, გამომხატავს სიკვდილით დასჯის გაუქმების საერთო ტენდენციას

და, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 – სიკვდილით დასჯის გაუქმება

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება ვინმესთვის სიკვდილის მისჯა ან მისჯილი სიკვდილის აღსრულება.

მუხლი 2 – სიკვდილით დასჯა ომიანობის დროს

სახელმწიფოს შეუძლია თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინოს სიკვდილით დასჯა ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებისათვის; ამგვარი სასჯელის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ამ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მისი დებულებების შესაბამისად. სახელმწიფო აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების შესახებ.

მუხლი 3 – უკან დახევის აკრძალვა

დაუშვებელია ამ ოქმის დებულებებიდან კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე უკან დახევა.

მუხლი 4 – დათქმების აკრძალვა

დაუშვებელია ამ ოქმის დებულებათა მიმართ კონვენციის 57-ე მუხლით გათვალისწინებული დათქმების გაკეთება.

მუხლი 5 – ოქმის მოქმედება სივრცეში

1. ოქმის ხელმოწერის, მისი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირების დროს, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც გავრცელდება ეს ოქმი.
2. ყოველ სახელმწიფოს, შემდგომში, ნებისმიერ დროს, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის წარდგენილი განცხადებით, განავრცოს ამ ოქმის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ განცხადების

მიღების თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

- ამ მუხლის წინა ორი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი ყოველი განცხადება, მასში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, შეიძლება უკან იქნეს გატანილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების მეშვეობით. განცხადების უკან გატანა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 6 – კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1-5 მუხლებს ხელშემკვრელი სახელმწიფოები განიხილავენ როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და მათთან მიმართებაში კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 7 – ხელმოწერა და რატიფიკაცია

ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება კონვენციის იმავდროული ან წინასწარი რატიფიკაციის გარეშე. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 8 – ძალაში შესვლა

- ეს ოქმი ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს ხუთი წევრის მიერ მე-7 მუხლის შესაბამისად თანხმობის გამოხატვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.
- იმ წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომლებმაც შემდგომ გამოხატეს თანხმობა ამ ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 9 – დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრებს აცნობებს:

- ყოველი ხელმოწერის;
- რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ყოველი სიგელის დეპონირების;
- მე-5 და მე-8 მუხლების შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღის;
- ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინებისა თუ მიმონერის შესახებ.

ამის დასტურად, ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 1983 წლის 28 აპრილს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთდერო ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამონმებულ ასლებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

ოქმი №7

სტრასბურგი, 1984 წლის 22 ნოემბერი

ევროპის საბჭოს წევრმა ქვემოთ ხელმოწერმა სახელმწიფოებმა,

გადაწყვიტეს გადადგან შემდგომი ნაბიჯები გარკვეულ უფლებათა და თავისუფლებათა ერთობლივი დაცვის უზრუნველყოფისათვის 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ამიერიდან მოიხსენიება, როგორც „კონვენცია“) მეშვეობით

და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 – უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები

1. დაუშვებელია სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრები უცხოელის გაძევება ამ სახელმწიფოდან სხვაგვარად, თუ არა კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და, ისე, რომ მას შეეძლოს:
 - a) წარადგინოს მისი გაძევების სანინაალმდეგო არგუმენტები;
 - b) გადაასინჯვინოს მისი საქმე და
 - c) ამ უფლებათა განსახორციელებლად წარდგენილ იქნეს ხელისუფლების სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს, ან მის მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე პირის წინაშე.
2. უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნეს მის მიერ ამ მუხლის 1-ლი პუნქტის a, b და c ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებამდე, თუ ასეთი გაძევება აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის, ან განპირობებულია ეროვნული უშიშროების მოსაზრებებით.

მუხლი 2 – სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება

1. ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯვინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლების განხორციელება, იმ საფუძვლების ჩათვლით, რომლებზე დაყრდნობითაც ის შეიძლება განხორციელდეს, მონესრიგებულია კანონით.
2. ამ წესიდან გამონაკლისი დასაშვებია მცირე მნიშვნელობის დანაშაულის მიმართ, როგორაც იგი კანონით არის განსაზღვრული, ან როდესაც შესაბამისი პირი პირველი ინსტანციის წესით გასამართლებულია უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ანდა მას ხელახლა დაედო მსჯავრი მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვის შედეგად.

მუხლი 3 – კომპენსაცია უსწორო მსჯავრდებისათვის

თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა იმის გამო, რომ ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოე-

ბებმა ცხადყო, რომ მის მიმართ მართლმსაჯულება გამრუდდა, ამგვარი მსჯავრდების გამო სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი არ დამტკიცდება, რომ მანამდე უცნობი გარემოებების დროულად აღმოჩენის ან გამოვლენის შეფერხება მთლიანად ან ნაწილობრივ ამავე პირის მიზეზით მოხდა.

მუხლი 4 – ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა

1. დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე იქნა საბოლოოდ გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად.
2. წინა პუნქტის დებულებები ვერ დააბრკოლებს საქმის წარმოების განახლებას მოცემული სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად, თუკი არსებობს ახალი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების მტკიცებულება, ან თუ საქმის წინარე განხილვა მოხდა არსებითი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.
3. დაუშვებელია ამ მუხლიდან კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული უკან დახვევა.

მუხლი 5 – მეუღლეთა თანასწორობა

მეუღლეები სარგებლობენ კერძო-სამართლებრივი ხასიათის თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით ერთმანეთს შორის და შვილებთან ურთიერთობაში, როგორც დაქორწინების დროს, ისე ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, განახორციელოს ბავშვების ინტერესებისათვის აუცილებელი ღონისძიებანი.

მუხლი 6 – ოქმის მოქმედება სივრცეში

1. ოქმის ხელმოწერის, ანდა მისი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სივრცის დეპონირების დროს, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გავრცელდება ოქმის მოქმედება და განაცხადოს, თუ რა ფარგლებში კისრულობს იგი ოქმის დებულებების გავრცელებას შესაბამის ტერიტორიასა თუ ტერიტორიებზე.
2. ყოველ სახელმწიფოს, შემდგომში, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი განცხადებით, შეუძლია განავრცოს ამ ოქმის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ განცხადების მიღების შემდეგ ორთვიანი ვადის ამონაწერის თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.
3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი ნებისმიერი განცხადება, მასში მითითებული ყოველი ტერიტორიის მიმართ, შეიძლება უკან იქნას გატანილი ან შეცვლილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების მეშვეობით. განცხადების უკან გატანა ან შეცვლა ამოქმედდება გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების შემდეგ ორთვიანი ვადის ამონაწერის თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

- ამ მუხლის შესაბამისი განცხადება განიხილება, როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება.
- ყოველი სახელმწიფოს ტერიტორია, რომელზეც ეს ოქმი ვრცელდება ამ სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შედეგად, და თითოეული ტერიტორია, რომელზეც ის ვრცელდება სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილი განცხადების საფუძველზე, განიხილება სხვადასხვა ტერიტორიებად 1-ლ მუხლში მოხსენიებული სახელმწიფოს ტერიტორიის განმარტებისათვის.
- ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად მიიღოს ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან საჩივრები ამ ოქმის 1-5 მუხლებთან დაკავშირებით.

მუხლი 7 – კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1-6 მუხლებს კონვენციის მხარე სახელმწიფოები განიხილავენ, როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და, მათ მიმართ, კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 8 – ხელმოწერა და რატიფიკაცია

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმოწერილი სახელმწიფოებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება კონვენციის იმავდროული ან წინასწარი რატიფიკაციის გარეშე. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 9 – ძალაში შესვლა

- ეს ოქმი ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს შვიდი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-8 მუხლის შესაბამისად თანხმობის გამოხატვის შემდეგ ორთვიანი ვადის ამონაწერის თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.
- იმ წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც შემდეგ გამოხატა ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების შემდეგ ორთვიანი ვადის ამონაწერის თარიღიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 10 – დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს აცნობებს:

- ყოველი ხელმოწერის;
- რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ყოველი სიგელის დეპონირების;

- c) მე-6 და მე-9 მუხლების შესაბამისად ოქმის ძალაში შესვლის ყოველი თარიღის;
- d) ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინებისა თუ მიმონერის შესახებ.

ამის დასტურად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ ხელმომწერებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 1984 წლის 22 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამონმეხულ ასლებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

ოქმი №12

რომი, 2000 წლის 4 ნოემბერი

ევროპის საბჭოს წევრი ქვემოთ ხელმოწერილი სახელმწიფოები

ითვალისწინებენ ფუძემდებლურ პრინციპს, რომლის თანახმად, ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და სარგებლობს კანონით თანაბარი დაცულობის უფლებით;

მზად არიან გადადგან შემდგომი ნაბიჯები ადამიანთა თანასწორობის ხელშესაწყობად დისკრიმინაციის საერთო აკრძალვის ერთობლივი უზრუნველყოფის და 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ამიერიდან მოიხსენიება, როგორც „კონვენცია“) საფუძველზე;

კვლავ ადასტურებენ, რომ დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი ვერ დააბრკოლებს მონაწილე სახელმწიფოებს, გაატარონ ღონისძიებები სრული და ეფექტიანი თანასწორობის ხელშესაწყობად, თუკი ამის ობიექტური და გონივრული გამართლება მოეპოვება.

და, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 – დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა

1. კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.
2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია 1-ლ პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძველით.

მუხლი 2 – ოქმის მოქმედება სივცეში

1. ოქმზე ხელმოწერის, მისი რატიფიკაციის, დამტკიცების ან მიღების სივცელის დეპონირების დროს, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც გავრცელდება ეს ოქმი.
2. ყოველ სახელმწიფოს, შემდგომში, ნებისმიერ დროს, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე წარდგენილი განცხადებით, განავრცოს ამ ოქმის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთი ტერიტორიის მიმართ ეს ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ განცხადების მიღების შემდეგ სამთვლიანი ვადის ამონურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი ნებისმიერი განცხადება, მასში მითითებული ყოველი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნეს გატანილი ან შეცვლილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების მეშვეობით. განცხადების უკან გატანა ან შეცვლა ამოქმედდება გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების შემდეგ სამთვინი ვადის ამონურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.
4. ამ მუხლის შესაბამისი განცხადება განიხილება როგორც კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული განცხადება.
5. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შემდგომში, ნებისმიერ დროს, განცხადებაში მითითებული ერთი ან რამდენიმე ტერიტორიის მიმართ შეუძლია განაცხადოს, რომ აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას, კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად მიიღოს ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან საჩივრები ამ ოქმის 1-ლ მუხლთან დაკავშირებით.

მუხლი 3 – კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1-ლ და მე-2 მუხლებს ხელშემკვრელი სახელმწიფოები განიხილავენ როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და კონვენციის ყველა დებულება მათთან მიმართებაში გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 4 – ხელმოწერა და რატიფიკაცია

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება კონვენციის იმავდროული ან წინასწარი რატიფიკაციის გარეშე. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 5 – ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შედის მის სავალდებულოდ აღიარებაზე ევროპის საბჭოს ათი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-4 მუხლის შესაბამისად თანხმობის გამოხატვის შემდეგ სამთვინი ვადის ამონურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.
2. იმ წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოხატავს ამ ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე თავის თანხმობას, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების შემდეგ სამთვინი ვადის ამონურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 6 - დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს აცნობებს:

- a) ყოველი ხელმოწერის;

- b) რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ყოველი სიგელის დეპონირების;
- c) მე-2 და მე-5 მუხლების შესაბამისად, ამ ოქმის ძალაში შესვლის ყოველი თარიღის;
- d) ამ ოქმთან დაკავშირებულ ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინებისა თუ მიმონერის შესახებ.

ამის დასტურად, ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია რომში, 2000 წლის 4 ნოემბერს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამონმებულ ასლებს უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

ოქმი №13

სიკვდილით დასჯის ყველა ვითარებაში გაუქმების შესახებ

ვილნიუსი, 2002 წლის 3 მაისი

ევროპის საბჭოს წევრი, ქვემოთ ხელმომწერი სახელმწიფოები,

დარწმუნებულნი, რომ ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება ძირითადი ღირებულებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, და რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება არსებითია ამ უფლების დაცვისა და ყველა ადამიანის თანაარსი ღირსების სრული აღიარებისათვის;

მოსურნენი, რომ გააძლიერონ სიცოცხლის უფლების დაცვა, რომელიც უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმომწერილი კონვენციით (ამიერიდან მოიხსენიება როგორც „კონვენცია“);

აღნიშნავენ, რომ კონვენციის მე-6 ოქმი, რომელიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას შეეხება და ხელმომწერილია სტრასბურგში 1983 წლის 28 აპრილს, არ მოიცავს სიკვდილით დასჯის გაუქმებას ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებისათვის;

მტკიცე გადამწყვეტილებას იღებენ, ბოლო ნაბიჯი გადადგან სიკვდილით დასჯის ყველა ვითარებაში გასაუქმებლად,

და, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1 – სიკვდილით დასჯის გაუქმება

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება ვინმესთვის სიკვდილის მისჯა ან მისჯილი სიკვდილის აღსრულება.

მუხლი 2 - უკან დახევის აკრძალვა

დაუშვებელია ამ ოქმის დებულებებიდან კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე უკან დახევა.

მუხლი 3 – დათქმების აკრძალვა

დაუშვებელია ამ ოქმის დებულებათა მიმართ კონვენციის 57-ე მუხლით გათვალისწინებული დათქმების გაკეთება.

მუხლი 4 – ოქმის მოქმედება სივრცეში

1. ოქმის ხელმომწერის, მისი რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების

დეპონირების დროს, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც გავრცელდება ეს ოქმი.

2. ყოველ სახელმწიფოს, შემდგომში, ნებისმიერ დროს შეუძლია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის წარდგენილი განცხადებით, განავრცოს ამ ოქმის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთი ტერიტორიის მიმართ ოქმი ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამ განცხადების მიღების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ დღეს.
3. ამ მუხლის წინა ორი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი ყოველი განცხადება, მასში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნეს გატანილი ან შეცვლილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების მეშვეობით. განცხადების უკან გატანა ან შეცვლა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 5 – კონვენციასთან მიმართება

ამ ოქმის 1–4 მუხლებს ხელშემკვრელი სახელმწიფოები განიხილავენ როგორც კონვენციის დამატებით მუხლებს და მათთან მიმართებაში კონვენციის ყველა დებულება გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 6 – ხელმოწერა და რატიფიკაცია

ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი, კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებისათვის. ის ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ ოქმის რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება კონვენციის იმავდროული ან წინასწარი რატიფიკაციის გარეშე. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 7 – ძალაში შესვლა

1. ეს ოქმი ძალაში შედის ევროპის საბჭოს ათი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-6 მუხლის შესაბამისად მის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვის თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ დღეს.
2. იმ წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომ გამოხატავს თანხმობას ამ ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე, ოქმი ძალაში შედის რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 6 – დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს აცნობებს:

- a) ყოველი ხელმოწერის;

- b) რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების ყოველი სიგელის დეპონირების;
- c) მე-4 და მე-7 მუხლების შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის ყოველი თარიღის;
- d) ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინებისა თუ მიმონერის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებამოსილებით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია ვილნიუსში, 2002 წლის 3 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, თანაბრად ავთენტიკურ ტექსტებად, ერთადერთ ცალად, რომელიც დაცული იქნება ევროპის საბჭოს არქივში. დამონმებულ ასლებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უგზავნის ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ოქმი №14

კონვენციის საზედამხედველო სისტემაში შესწორებების შეტანის შესახებ

პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ რომის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციის (შემდგომში კონვენცია) წინამდებარე ოქმის ხელმოწერები,

ითვალისწინებენ რა რომში 2000 წლის 3-4 ნოემბერს ჩატარებულ ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპის მინისტრთა კონფერენციაზე მიღებულ №1 რეზოლუციას და დეკლარაციას;

შესაბამისად, ითვალისწინებენ რა 2001 წლის 8 ნოემბერს, 2002 წლის 7 ნოემბერს და 2003 წლის 15 მაისს მინისტრთა კომიტეტის 109-ე, 111-ე და 112-ე სესიებზე მიღებულ დეკლარაციებს;

ითვალისწინებენ რა 2004 წლის 28 აპრილს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ №251(2004) მოსაზრებას;

ითვალისწინებენ რა კონვენციის გარკვეული დებულებების შესწორების უკიდურეს აუცილებლობას, რათა ხანგრძლივი ვადით შენარჩუნდეს და გაუმჯობესდეს საზედამხედველო სისტემის ეფექტურობა, განსაკუთრებით ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და მინისტრთა კომიტეტის სამუშაოს მუდმივი ზრდის ფონზე;

ითვალისწინებენ რა, განსაკუთრებით, ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანი როლის შესრულების საჭიროებას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

კონვენციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი უნდა გაუქმდეს.

მუხლი 2

კონვენციის 23-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 23 – თანამდებობაზე ყოფნის ვადები და დათხოვნა

1. მოსამართლეები აირჩევიან 9 წლის ვადით. არ შეიძლება მათი ხელახალი არჩევა.
2. მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ვადა იწურება, როდესაც ისინი აღწევენ 70 წლის ასაკს.

3. მოსამართლეები თანამდებობაზე რჩებიან მათ შეცვლამდე. ამასთან, ისინი გააგრძელებენ მუშაობას იმ საქმეებზე, რომლებიც უკვე იყო მათი განხილვის ქვეშ.
4. დაუშვებელია მოსამართლეთა დათხოვნა სამსახურიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა მოსამართლეები ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით გადწყვეტენ, რომ იგი ველარ აკმაყოფილებს აუცილებელ მოთხოვნებს“.

მუხლი 3

კონვენციის 24-ე მუხლი უნდა გაუქმდეს.

მუხლი 4

კონვენციის 25 მუხლი უნდა გახდეს 24-ე მუხლი და მისი ტექსტი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 24 – რეგისტრატურა და იურიდიული სამდივნოები

1. სასამართლოს უნდა ჰქონდეს რეგისტრატურა, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია განისაზღვრება სასამართლოს რეგლამენტით.
2. ერთი მოსამართლის მიერ საქმის განხილვისას სასამართლოს უნდა დაეხმარონ იურიდიული სამდივნოები, რომლებიც ექვემდებარებიან სასამართლოს თავმჯდომარეს, ისინი წარმოადგენენ სასამართლოს რეგისტრატურის ნაწილს.“

მუხლი 5

კონვენციის 26-ე მუხლი უნდა გახდეს 25-ე მუხლი („პლენარული სასამართლო“) და მისი ტექსტი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1. „დ“ პუნქტის ბოლოს მძიმე უნდა შეიცვალოს წერტილ-მძიმეთი და სიტყვა „და“ უნდა გაუქმდეს.
2. „ე“ პუნქტის ბოლოს წერტილი უნდა შეიცვალოს წერტილ-მძიმეთი.
3. უნდა დაემატოს ახალი „ფ“ პუნქტი, რომელიც შემდეგნაირად წაიკითხება: „ფ) წარადგენს ნებისმიერ მოთხოვნას მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად“.

მუხლი 6

კონვენციის 27-ე მუხლმა უნდა გადაინაცვლოს 26-ე მუხლის ადგილზე, მისი ტექსტი უნდა შესწორდეს და უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 26

– ერთი მოსამართლის სისტემა, კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. სასამართლოში წარმოდგენილი საქმეები განიხილება ერთი მოსამართლის, სამი მოსამართლისაგან შემდგარი კომიტეტის, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარი

პალატის და ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარი დიდი პალატის მიერ. სასამართლოს პალატებმა კომიტეტები უნდა შექმნან განსაზღვრული ვადით.

2. პლენარული სასამართლოს მოთხოვნით, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია ერთსულოვანი გადაწყვეტილების თანახმად და განსაზღვრული ვადით ხუთ წევრამდე შეამციროს მოსამართლეთა რაოდენობა პალატებში.
3. როცა სხდომა მიჰყავს ერთ მოსამართლეს, მას არ შეუძლია განიხილოს რაიმე განაცხადი იმ მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ, რომელთან დაკავშირებითაც ეს მოსამართლე იქნა არჩეული.
4. *ex officio* წევრის სტატუსით პალატაში და დიდ პალატაში შევა ის მოსამართლე, რომელიც მაღალი ხელშემკვრელი მხარისათვის იქნება არჩეული. თუ ასეთი არავინაა ან თუ ამ მოსამართლეს არ შესწევს ამის უნარი, მოსამართლის მოვალეობა უნდა შეასრულოს პირმა, რომელიც მხარეების მიერ წინასწარ წარმოდგენილი სიიდან სასამართლოს თავმჯდომარის მიერ არის არჩეული.
5. დიდი პალატის შემადგენლობაში ასევე უნდა იყვნენ სასამართლოს თავმჯდომარე, ვიცე-თავმჯდომარე, პალატების თავმჯდომარეები და დანარჩენი მოსამართლეები, რომლებიც არჩეულნი არიან სასამართლოს რეგლამენტის თანახმად. როდესაც საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატაში 43-ე მუხლის თანახმად, დიდი პალატის სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებს გადაწყვეტილების გამომტანი პალატის ვერც ერთი მოსამართლე, გარდა პალატის თავმჯდომარისა და მოსამართლისა იმ სახელმწიფოდან, რომელიც მხარეა მოცემულ საქმეში.“

მუხლი 7

26-ე მუხლის შემდეგ კონვენციაში შეტანილ უნდა იქნეს ახალი 27-ე მუხლი, რომელიც უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 27 – ერთი მოსამართლის უფლებამოსილება

1. ერთ მოსამართლეს შეუძლია მიუღებლად გამოაცხადოს, ან 34-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს საქმეთა სიიდან ამოიღოს წარმოდგენილი განაცხადი, როცა მსგავსი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს შემდგომი განხილვის უფლების გარეშე.
2. გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო.
3. თუ საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლე არ გამოაცხადებს განაცხადს დაუშვებლად ან არ ამორიცხავს მას, მაშინ მან უნდა წარადგინოს ის კომიტეტში ან პალატაში შემდგომი განხილვისათვის“.

მუხლი 8

კონვენციის 28-ე მუხლი უნდა შესწორდეს და უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 28 – კომიტეტების უფლებმოსილება

1. 34-ე მუხლის თანახმად წარმოდგენილ განაცხადთან მიმართებაში, კომიტეტს შეუძლია ერთხმად
 - ა. გამოაცხადოს ის მიუღებლად ან ამოიღოს საქმეთა სიიდან, თუ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია შემდგომი განხილვის გარეშე; ან
 - ბ. გამოაცხადოს ის მისაღებად და ამავე დროს გამოიტანოს გადანაცვები საქმის არსიდან გამომდინარე, თუ საქმის ძირითადი საკითხი, კონვენციის ან ოქმების გამოყენებასთან ან განმარტებასთან დაკავშირებით უკვე წარმოდგენს სასამართლოს მიერ წარმატებით დაფუძნებულ პრეცედენტული სამართლს.
2. დადგენილებები და გადანაცვები 1-ლი პუნქტის თანახმად საბოლოო უნდა იყოს.
 1. 3. თუ შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოდან არჩეული მოსამართლე არ არის კომიტეტის წევრი, კომიტეტს შეუძლია, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მიიწვიოს ეს მოსამართლე კომიტეტში ერთ-ერთი წევრის ადგილის დასაკავებლად, ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის, სადავოდ ხდიდა თუ არა მხარე 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურის გამოყენებას“.

მუხლი 9

კონვენციის 29-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1. 1-ლი პუნქტი უნდა შესწორდეს და უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „თუ დადგენილება არ არის მიღებული 27-ე ან 28-ე მუხლების თანახმად, ან გადანაცვები არ არის გამოტანილი 28-ე მუხლის თანახმად, პალატამ უნდა გადანაცვოს 34-ე მუხლის თანახმად წარმოდგენილი ინდივიდუალური განაცხადების დასაშვებობა და საქმის არსი. განაცხადების დასაშვებობის თაობაზე გამოტანილ უნდა იქნეს ცალკე გადანაცვები“.
2. მე-2 პუნქტის ბოლოს უნდა დაემატოს ახალი წინადადება, რომელიც უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „განაცხადის დასაშვებობის თაობაზე მიღებულ უნდა იქნას ცალკე გადანაცვები, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როცა სასამართლო სხვაგვარად გადაწყვეტს“.
3. მე-3 პუნქტი უნდა გაუქმდეს.

მუხლი 10

კონვენციის 31-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგი სახით:

1. „ა“ ქვეპუნქტის ბოლოს უნდა ამოიშალოს სიტყვა „და“;
2. „ბ“ ქვეპუნქტი უნდა გახდეს „ც“ ქვეპუნქტი და უნდა ჩაემატოს ახალი „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც უნდა იკითხებოდეს შემდეგი სახით:

„ბ) გამოიტანს გადაწყვეტილებას მინისტრთა კომიტეტის მიერ სასამართლოსათვის გადაგზავნილ საკითხებთან დაკავშირებით 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად; და“

მუხლი 11

კონვენციის 32-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

1-ლი პუნქტის ბოლოს უნდა დაისვას მძიმე და რიცხვი 46 უნდა ჩაისვას 34-ის შემდეგ.

მუხლი 12

კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტი უნდა შესწორდეს და უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„3. სასამართლომ უნდა გამოაცხადოს მიუღებლად ნებისმიერი ინდივიდუალური განაცხადი, რომელიც წარმოდგენილია 34-ე მუხლის თანახმად, თუ:

ა. განაცხადი შეუთავსებელია კონვენციის ან მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად უსაფუძვლოა ან წარმოადგენს ინდივიდუალური განაცხადით მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებას; ან

ბ. თუ განმცხადებელს არ განუცდია მნიშვნელოვანი ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესები კონვენციისა და ოქმების შესაბამისად მოითხოვს განაცხადის არსებითად განხილვას და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია ზემოაღნიშნული საფუძვლით უარის თქმა რომელიმე საქმის განხილვაზე, რომელიც შიდა სასამართლოს მიერ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი.

მუხლი 13

კონვენციის 36-ე მუხლს უნდა დაემატოს ახალი მე-3 პუნქტი, რომელიც უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„3. ყველა შემთხვევაში, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარს შეუძლია პალატას ან დიდი პალატას წარუდგინოს წერილობითი შენიშვნები და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში.

მუხლი 14

კონვენციის 38-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 38 – საქმის განხილვა

სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს მხარეების წარმომადგენლებთან ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, დაინყოს გამოძიება, რომლის ეფექტურად ჩატარებისათვის დაინტერესებულმა მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა სასამართლო უნდა უზრუნველყონ ყველა აუცილებელი პირობით“.

მუხლი 15

კონვენციის 39-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 39 – საქმის მეგობრულად გადაწყვეტა

1. საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, სასამართლოს შეუძლია იხელმძღვანელოს დაინტერესებულ მხარეთა სურვილით, უზრუნველყონ საქმის მეგობრულად გადაწყვეტა, ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე, როგორც ეს დადგენილია კონვენციაში და მის ოქმებში.
2. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული საქმისწარმოება კონფიდენციალური უნდა იყოს.
3. საქმის მეგობრულად გადაწყვეტის შემთხვევაში, სასამართლომ საქმე უნდა ამოიღოს სიიდან გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც უნდა შემოიფარგლებოდეს ფაქტების და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე აღწერით.
4. ეს გადაწყვეტილება უნდა გადაეგზავნოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც განახორციელებს საქმის მეგობრული გადაწყვეტილების პირობების შესრულებაზე მეთვალყურეობას.

მუხლი 16

კონვენციის 46-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად

„მუხლი 46 – სასამართლო გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალა და აღსრულება

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულია იღებენ აღასრულონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ყველა იმ საქმესთან დაკავშირებით, რომლის მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ.
2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გადაეგზავნოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც განახორციელებს მეთვალყურეობას მის აღსრულებაზე.
3. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება ყოვნადაც გადაწყვეტილების განმარტებასთან დაკავშირებული პრობლემის გამო, მას შეუძლია გადაწყვეტილება განმარტებისათვის გადაუგზავნოს სასამართლოს. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა კომიტეტის უფლებამოსილი წევრების ხმათა ორი-მესამედის უმრავლესობა.
4. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარე უარს ამბობს სასამართლოს მიერ იმ საქმესთან დაკავშირებით გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაზე, რომლის მხარესაც წარმოადგენს იგი, კომიტეტს შეუძლია ამ მხარისათვის ფორმალური შეტყობინების შემდეგ და კომიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხმათა ორი-მესამედის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიმართოს სასამართლოს შე-

კითხვით – დაარღვია თუ არა მხარემ 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება.

5. თუ სასამართლო აღმოაჩენს 1-ლი პუნქტის დარღვევას, მან საქმე უნდა გადასცეს მინისტრთა კომიტეტს მისაღები ზომების განხილვის მიზნით. თუ სასამართლო ვერ აღმოაჩენს 1-ლი პუნქტის დარღვევას, მან საქმე უნდა გადასცეს მინისტრთა კომიტეტს, რომელმაც უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა“.

მუხლი 17

კონვენციის 59-ე მუხლი უნდა შესწორდეს შემდეგნაირად

1. უნდა დაემატოს მე-2 პუნქტი, რომელიც უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:
„2. ევროპის კავშირს შეუძლია მიუერთდეს ამ კონვენციას“
2. მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები შესაბამისად უნდა გახდნენ მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები.

დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი 18

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს კონვენციის ხელმომწერი წევრებისათვის, რომელთა თანხმობაც ამ ოქმის სავალდებულოდ აღიარების თაობაზე შეიძლება გამოიხატოს:
 - ა. ხელმომწერთ რატიფიკაციასთან, მიერთებასთან ან დამტკიცებასთან დაკავშირებით დათქმების გაკეთების გარეშე; ან
 - ბ. ხელმომწერთ რატიფიკაციის, მიერთების ან დამტკიცების პირობით, რომელსაც მოჰყვება რატიფიკაცია, მიერთება ან დამტკიცება.
2. რატიფიკაციის, მიერთების ან დამტკიცების დოკუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 19

ოქმი ძალაში შევა იმ სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს, რომლის ათვლაც დაიწყება იმ დღიდან, როდესაც კონვენციის მონაწილეები გამოთქვამენ თანხმობას ამ ოქმის სავალდებულობაზე, მე-19 მუხლის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 20

1. ამ ოქმის ძალაში შესვლის დღიდან, მისი დებულებები გამოიყენება ყველა განაცხადის მიმართ, რომლის განხილვაც მიმდინარეობს სასამართლოში, ასევე სასამართლოს ყველა გადაწყვეტილებაზე, რომლის აღსრულებაზე მეთვალყურეობას ახორციელებს მინისტრთა კომიტეტი.

2. ამ ოქმის მე-12 მუხლის საფუძველზე კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ბ) პუნქტში ჩამატებული დასაშვებობის ახალი კრიტერიუმები არ გამოიყენება იმ განაცხადების მიმართ, რომლებიც გამოცხადნენ დასაშვებად ამ ოქმის ძალაში შესვლამდე. ამ ოქმის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში, დასაშვებობის ახალი კრიტერიუმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პალატების და დიდი პალატის მიერ.

მუხლი 21

იმ მოსამართლეების თანამდებობაზე ყოფნის ვადა, რომლებიც ამ ოქმის ძალაში შესვლის დროისათვის მსახურობენ პირველი ვადით *ipso jure* უნდა გაგრძელდეს იმგვარად, რომ შეადგინოს მთლიანი ცხრანობიანი ვადა. სხვა მოსამართლეები დაასრულებენ თავიანთ ვადას, რომლებიც *ipso jure* უნდა გაგრძელდეს 2 წლის ვადით.

მუხლი 22

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა შეატყობინოს ევროპის საბჭოს წევრებს:

- a) ნებისმიერი ხელმოწერის;
- b) რატიფიკაციის, მიერთების ან დამტკიცების დოკუმენტის ნებისმიერი დეპონირების;
- c) ამ ოქმის მე-20 მუხლის შესაბამისად ძალაში შესვლის; და
- d) ამ ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტის, განცხადების ან შეტყობინების შესახებ.

ამის დასტურად სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში, 2004 წლის 13 მაისს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტიურია, რომელთა თითო ასლიც დეპონირდება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა გადაუგზავნოს ამ ოქმის დამოწმებული ასლები ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.

ჯაში საქართველოს წინააღმდეგ

Case of Jashi vs. Georgia (№10799/06)

2006 წლის 20 მარტს დავით ჯაშმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2013 წლის 8 იანვარს სტრასბურგის სასამართლომ განიხილა განაცხადი (№10799/06) და დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

2005 წლის 30 მარტს განმცხადებელი დამნაშევედ ცნეს ნარკოტიკებით ვაჭრობაში და მიუსაჯეს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ იგი პირობით ვადამდე გაათავისუფლეს. სამედიცინო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის წარმოებამდე, განმცხადებელს აწუხებდა თავის ტვინის მძიმე ტრავმები, რის შედეგადაც მისი ფსიქიკური მდგომარეობა გაუარესდა.

2005 წლის 28 სექტემბერს განმცხადებელი დააკავეს 3.84 გრ ჰეროინისა და 0.121 გრ მეტადონის შენახვისთვის და მოათავსეს თბილისის №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

2005 წლის 28 დეკემბერს განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ ზუსტი დიაგნოზის დასმა მისი სრული ფსიქიატრიული გამოკვლევის გარეშე შეუძლებელი იყო, რაც უნდა ჩატარებულიყო შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში. თუმცა, მსგავსი გამოკვლევა არ ჩატარებულა.

2006 წლის 20 იანვარს, განმცხადებლის საქმის წინასწარი მოსმენის დროს, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მისი ადვოკატის შუამდგომლობა, რომელიც ეფუძნებოდა განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ 2005 წლის 28 დეკემბრის ანგარიშს და მიზნად ისახავდა ქმედუნარიანობის დადგენას, რათა ის წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე და გასცა განკარგულება ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მისი ერთი თვით მოთავსების შესახებ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის სასამართლო პროცესი განახლებოდა მხოლოდ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგების მიღების შემდეგ.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება იყო საბოლოო, მაგრამ შესაბამისმა ორგანოებმა უარი თქვეს მის აღსრულებაზე, განმცხადებლისა და მისი ადვოკატების მხრიდან წარდგენილი უამრავი პრეტენზიის მიუხედავად.

2006 წლის 9 მარტს მომჩივანი გადაიყვანეს ზუგდიდის მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

2006 წლის 7 აპრილს, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად, განმცხადებლის ადვოკატებმა თხოვნით მიმართეს სტრასბურგის ევროპულ სასამართლოს, რომ მას მთავრობისთვის მოეთხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, რომლის მიხედვითაც, მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირი უნდა მოთავსებულიყო ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

2006 წლის 26 აპრილს პალატის თავმჯდომარემ გადაწყვიტა, არ მოეთხოვა დროებითი ღონისძიების გამოყენება. ამის ნაცვლად, სასამართლოს რეგლამენტის მე-40 და 54-ე (§2)(„ა“) მუხლების თანახმად, საჩივრის შესახებ სასწრაფო შეტყობინება გაეგზავნა მთავრობას, რომელსაც ასევე ეთხოვა განემარტა 2006 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების აღუსრულებლობის მიზეზები და წარმოედგინა დოკუმენტები, რომლებშიც ასახული იქნებოდა განმცხადებლისთვის ციხეში განეული სამედიცინო მკურნალობა.

2006 წლის 23 მაისს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ გასცა ბრძანება მომჩივნის ერთი თვის ვადით მოთავსების შესახებ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (NFB) ფსიქიატრიულ პალატაში, სადაც მას უნდა ჩატარებოდა ფსიქიატრიული გამოკვლევა. 2006 წლის 8 ივნისს განმცხადებელმა მოითხოვა, რომ მის მიერ შერჩეულ ორ ფსიქიატრს მიეღო მონაწილეობა გამოკვლევის ჩატარებაში, მაგრამ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. 2006 წლის 14 ივნისს ექსპერტი ფსიქიატრებისგან შემდგარმა სახელმწიფო კომისიამ გამოსცა ანგარიში განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ და მომდევნო დღეს იგი დააბრუნეს ზუგდიდის საპრობილემში.

2006 წლის 14 ივნისის ანგარიშის მიხედვით, მომჩივანს არ ანუხებდა ქრონიკული ან დროებითი ფსიქიატრიული დაავადებები, მაგრამ ჰქონდა ისეთი ორგანული დარღვევები, რომლებიც უმეტესად ვლინდებოდა მის ანტისაზოგადოებრივ ქცევაში, თუმცა ეს არ მოქმედებდა მომჩივნის უნარზე, გაეთავისებინა თავისი ქმედებების უკანონობა და, შესაბამისად, მას შეიძლება დაკისრებოდა პასუხისმგებლობა ამ ქმედებების გამო. ანგარიში ადასტურებდა, რომ განმცხადებლის მდგომარეობა არ იწვევდა მისი ქმედუუნარობის გაუარესებას, რაც უკავშირდებოდა მის მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში და ანგარიშის თანახმად, იგი არ საჭიროებდა რაიმე სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარებას სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში.

2006 წლის 4 ივლისს პალატის თავმჯდომარემ განიხილა მხარეთა მიერ წარმოდგენილი ბოლო არგუმენტები და გადაწყვიტა გამოეყენებინა სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი. მთავრობას მიეცა მითითება, შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში გამოეკვლიათ განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობა. გამოკვლევა უნდა ჩატარებინა პარიტეტულ საწყისებზე შემდგარ ფსიქიატრთა კომისიას და გამოტანილი დასკვნების სათანადო გათვალისწინებით, მთავრობას უნდა უზრუნველყო მომჩივნისთვის ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის ჩატარება.

2006 წლის 12 ივლისს მომჩივანს კვლავ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა ზუგდიდის საპრობილემში დაუზუსტებელი მედიკამენტების ზედმეტი დოზის მიღების შედეგად. მას მაშინვე გაუწიეს შესაბამისი სამედიცინო დახმარება.

2006 წლის 21 ივლისს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო სასამართლოს მიერ 2006 წლის 4 ივლისს დროებითი ღონისძიების შესახებ გაცემული მითითება და ბრძანა, რომ განმცხადებელს უნდა ჩატარებოდა სხვა ფსიქიატრიული გამოკვლევა შესაბამის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სასამართლოს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

2006 წლის 22 ივლისს განმცხადებელმა ზუგდიდის საპრობილემში ელექტროსადენების გამოყენებით კვლავ გადაიჭრა ვენები. ის მაშინვე გადაიყვანეს ზუგდიდის სამოქალაქო საავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდა შესაბამისი გადაუდებელი დახმარება. 2006 წლის 30 ივლისს ამ ინციდენტთან დაკავშირებით დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება. გამოძიება დასრულდა პროკურატურის 2007 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რომლის თანახმადაც, დაწესებულების პერსონალი

არ იყო პასუხისმგებელი მომჩივნის თვითდაზიანებაზე, ვინაიდან ელექტროსადენი, საპყრობილის შესაბამისი წესების მიხედვით, არ წარმოადგენდა აკრძალულ საგანს და ინციდენტი გამოიწვია განმცხადებლის ემოციურმა აშლილობამ, რაც არ უკავშირდება პერსონალს.

2006 წლის 27 ივლისს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 ივლისის ბრძანების აღსრულების მიზნით, განმცხადებელი კვლავ მოათავსეს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიულ ნაწილში, სადაც მისი ფსიქიკური მდგომარეობა გამოიკვლია პარიტიტულ სანქსებზე შერჩეულმა ფსიქიატრთა კომისიამ. კომისიის დასკვნა ძირითადად იმეორებდა 2006 წლის 14 ივნისის დასკვნის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ პიროვნებასთან დაკავშირებული ორგანული დარღვევების გარდა, კომისიამ დაადგინა, რომ მომჩივანი არ იყო დაავადებული მძიმე ფსიქიატრიული დაავადებით, პასუხს აგებდა თავის ქმედებებზე და არ მოითხოვდა სავალდებულო ფსიქიატრიულ მკურნალობას. დასკვნის მეორე ნაწილში დამატებით აღნიშნული იყო, რომ განმცხადებლის პიროვნებასთან დაკავშირებული დარღვევის შედეგად, მას ჰქონდა დეპრესიის სიმპტომები, რომლებიც, *inter alia*, ვლინდებოდა ქცევით და ვერბალურ ნიშნებში, რომ მას განზრახული ჰქონდა თვითმკვლელობა; დეპრესიის სიმპტომები ასევე ვლინდებოდა გაღიზიანებულ და აგრესიულ ქცევასა და კომუნიკაციის მხრივ გართულებებში.

2006 წლის 18 აგვისტოს ციხის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნა და იგი მოათავსა ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ პალატაში, სადაც დარჩა მომდევნო ორი წლის განმავლობაში, 2008 წლის 31 აგვისტომდე.

2006 წლის 25 აგვისტოს განმცხადებელმა სცადა თვითმკვლელობა ციხის საავადმყოფოში მედიკამენტის ზედმეტი დოზის მიღებით. როგორც განმცხადებლის სამედიცინო ფაილში ზედამხედველი ექიმის მიერ გაკეთებული ჩანაწერიდან ირკვევა, მომჩივანმა მიიღო ძლიერი მედიკამენტების ნარევი, ანტიბიოტიკებისა და ტრანქვილიზატორების ჩათვლით.

2007 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ხელი მოაწერა საპროცესო შეთანხმებას ბრალის აღიარების შესახებ, რომელიც მიღწეულ იქნა პროკურატურასა და განმცხადებელს შორის იმავე დღეს. ამ გადაწყვეტილებით გაირკვა, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესში განმცხადებელმა აღიარა მსხვილმასშტაბიან ნარკოტრაფიკში მონაწილეობა და დაეთანხმა ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, 100.000 ლარი (55.815 ევრო) ჯარიმის გადახდასა და ნარკომანიით დაავადებულთათვის სავალდებულო მკურნალობის ჩატარებას. გადაწყვეტილება გახდა საბოლოო.

2007 წლის 3 აგვისტოდან და 12 ოქტომბრამდე ციხის საავადმყოფოში ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის ანგარიშის მიხედვით, განმცხადებელს აწუხებდა გულის იშემიური დაავადება, სტენოკარდია, არტერიული ჰიპერტენზია და გულის უკმარისობა. სამედიცინო დასკვნის მონაცემებით, განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ითვლებოდა მძიმედ და ის საჭიროებდა მკურნალობას სპეციალიზებულ დაწესებულებაში. 2008 წლის 31 იანვარს კარდიოლოგმა, რომელიც მკურნალობდა განმცხადებელს ციხის საავადმყოფოში, გაითვალისწინა მისი დიაგნოზი, ტკივილები გულმკერდის არეში, სხვა სიმპტომები და გამოთქვა აზრი, რომ სწორი მკურნალობის გეგმის შემუშავებისთვის საჭირო იყო სპეციალური რენტგენოლოგიური გამოკვლევის – კორონალური ანგიოგრაფიის ჩატარება.

2008 წლის 7 ივლისს განმცხადებელს დაუსვეს ვირუსული C ჰეპატიტის (HCV) დიაგნოზი. როგორც მისი სამედიცინო ფაილიდან გაირკვა, 2006 წლის 18 აგვისტოდან 31 ივლისამდე ციხის საავადმყოფოში მკურნალობისას, მომჩივანი სისტემატურად იღებდა შესაბამის ფსიქოტროპულ მედიკამენტებს (ანტიფსიქოტროპულ ნამლებს, ანტიდეპრესანტებს და ტრანქვილიზატრებს) პიროვნებასთან დაკავშირებული დარღვევებისა და დეპრესიის გამო. განმცხადებელს აგრეთვე განმეორებით ჩაუტარდა სრული სამედიცინო გამოკვლევა და გამოუწერეს შესაბამისი მედიკამენტები, რომლებიც გულთან დაკავშირებული პრობლემების მკურნალობსაც ითვალისწინებდა.

2008 წლის 11 სექტემბერს განმცხადებელი ისევ მოათავსეს ციხის საავადმყოფოში დეპრესიის მკურნალობის მიზნით, რაც გაგრძელდა 2008 წლის 25 სექტემბრამდე. საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში, კარდიოლოგის გარდა, მან გაიარა კონსულტაციები ფსიქოლოგთან და ფსიქიატრთან. ასევე ჩაუტარდა სხვადასხვა სახის გამოკვლევები. საავადმყოფოდან გამოწერისა და რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაბრუნების შემდეგ, რისი უფლებაც გასცა მკურნალმა ექიმმა, 2008 წლის 26 სექტემბერს მას გამოუწერეს ანტიდეპრესანტები ამბულატორიულად მისაღებად.

2008 წლის 3 ნოემბერს განმცხადებლის წარმომადგენლებმა, რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს სთხოვეს, რომ მას მთავრობისთვის გაეცა მითითება, რათა განმცხადებელი რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადაეყვანათ კარდიოლოგიურ კლინიკაში, სადაც მას ჩაუტარდებოდა ადეკვატური კარდიოლოგიური მკურნალობა და მიიღებდა შესაბამის პრეპარატებს.

2008 წლის 9 დეკემბერს სასამართლომ გასცა მითითება მთავრობისთვის, რომ განმცხადებელი უნდა მოთავსებულიყო სპეციალიზებულ კარდიოლოგიურ კლინიკაში, სადაც მას ჩაუტარდებოდა სამედიცინო დასკვნის რეკომენდაციებით გათვალისწინებული მკურნალობა.

2009 წლის 15 იანვარს განმცხადებლის წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა ციხის ხელმძღვანელობას, გადაეყვანა მომჩივანი კარდიოლოგიურ კლინიკაში, ანგიოგრაფიისა და სამედიცინო მკურნალობის ჩატარების მიზნით. დანიშნული მკურნალობის შედეგად, განმცხადებლის კარდიოლოგიური მდგომარეობა, მისი მკურნალი კარდიოლოგის აზრით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და სპეციალისტის აზრით, შესაძლებელი გახდა მკურნალობის გაგრძელება ზოგადი პროფილის სამედიცინო დაწესებულებაში. კერძო კლინიკაში მისი ყოფნის პერიოდში განმცხადებელმა გაიარა კონსულტაციები ინფექციონისტთან C ჰეპატიტზე.

შესაბამისად, 2009 წლის 15 მაისს, კარდიოლოგიური მკურნალობის წარმატებით დასრულების შემდეგ, განმცხადებელი სამოქალაქო საავადმყოფოდან გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მას ჩაუტარდა სისხლის სრული ბიოქიმიური ანალიზი HCV-ის მკურნალობის გეგმის შემუშავების მიზნით. ამის შედეგად, 2009 წლის 8 ივნისს, ციხის საავადმყოფომ შესთავაზა მას, დაენყო მკურნალობის კურსი შესაბამისი ანტივირუსული მედიკამენტებით. თუმცა, ამ მედიკამენტების მიღების შედეგად განვითარებული ძლიერი ნევროლოგიური გვერდითი ეფექტების გამო, განმცხადებელმა გადაწყვიტა მკურნალობის გადადება მისი ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

ციხის საავადმყოფოში 2009 წლის მაისსა და აგვისტოს შორის პერიოდში განმცხადებელმა კვლავ გაიარა კონსულტაციები კარდიოლოგთან, ენდოკრინოლოგთან, ფსიქიატრთან, ფსიქოლოგთან და ინფექციონისტთან. ვერც ერთმა მათგანმა ვერ აღმოაჩინა მისი მდგომარეობის გაუარესება, კერძოდ, ეს დადასტურდა 2009 წლის 3 ივნისს

ფსიქოლოგთან და ფსიქიატრთან გავლილი კონსულტაციების შედეგებით, იმ პერიოდისთვის განმცხადებლის დეპრესიისა და პიროვნული დარღვევების ნიშნები გაქრა და მას მეტად აღარ სჭირდებოდა ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობა.

ციხის საავადმყოფომ მხედველობაში მიიღო განმცხადებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის სტაბილიზაცია, ფსიქოტროპული მედიკამენტების შეწყვეტის ფაქტი და 2009 წლის 30 ივნისს, კვლავ შესთავაზა მას მკურნალობის ჩატარება მედიკამენტებით, რაზეც განმცხადებელი დათანხმდა. მისი მკურნალობა წარმატებით დასრულდა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დაავადება არ პროგრესირებდა.

მხარეთა არგუმენტები

მთავრობის არგუმენტის თანახმად, შესაბამისმა ადგილობრივმა ორგანოებმა ყველაფერი იღონეს, რათა დაედგინათ, შეეძლო თუ არა განმცხადებელს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის უკანონობის გათავისება და გაირკვა, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით, მთავრობამ განმარტა რა სისხლის სსსკ-ის შესაბამისი დებულებები, განაცხადა, რომ არ იყო აუცილებელი მისი აღსრულება, ვინაიდან მოსამართლეს კანონით არ გააჩნდა უფლება-მოსილება, მიეღო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების გადაწყვეტილება პირველი წინასწარი მოსმენის დროს.

ნებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღუსრულებლობამ არ წარმოშვა მომჩივნის სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებული საკითხი, ვინაიდან 2006 წლის 14 ივნისისა და 18 აგვისტოს სამედიცინო დასკვნებმა დაადასტურა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა ფსიქიკური დარღვევები და არ საჭიროებდა სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარებას. განმცხადებელს ჰქონდა პიროვნებასთან დაკავშირებული დარღვევები და დეპრესიის ნიშნები, თუმცა მთავრობამ განაცხადა, რომ მას დროულად გაენია ამ შედარებით მარტივი დაავადების შესაბამისი მკურნალობა.

განმცხადებლის მიერ თვითმკვლელობის განმეორებით მცდელობასთან დაკავშირებით, მთავრობამ განაცხადა, რომ სერიოზული ფსიქიატრიული დაავადებების არარსებობისა და სავალდებულო მკურნალობის მიზნით მისი ფსიქიატრიულ კლინიკაში მოთავსების საჭიროების არარსებობის პირობებში, ციხის ხელმძღვანელობას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა ეს უბედური შემთხვევები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობას ჰქონდა დროული რეაქცია ამ ინციდენტებზე და მან უზრუნველყო მყისიერი და ეფექტური სამედიცინო დახმარების განწვევა. მთავრობამ შემდგომში განაცხადა, რომ განმცხადებელი ციხის საავადმყოფოში იმყოფებოდა სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ ფსიქოტროპული მედიკამენტებით მკურნალობის პროცესში. მთავრობამ აგრეთვე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებლის მხრიდან მორიგი თვითმკვლელობის მცდელობის დროს შესაბამისმა ორგანოებმა დროულად დაიწყეს სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება, რისმა შედეგმაც გამორიცხა ციხის პერსონალის პასუხისმგებლობის საკითხი ამ გაუთვალისწინებელ ინციდენტში, რომელიც უკავშირდებოდა მომჩივნის ემოციურ აშლილობას.

განმცხადებლის სპეციალიზებულ კარდიოლოგიურ კლინიკაში მოთავსების საკითხთან დაკავშირებით, მთავრობამ აღნიშნა, რომ თავიდან თვითონ განმცხადებელმა განაცხადა უარი, ეთანამშრომლა ციხის ხელმძღვანელობასთან, რამაც ხელი შეუშალა სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად მითითებული დროებითი ღო-

ნისძიების შესრულებაში. მას შემდეგ, რაც აპლიკანტი დათანხმდა კერძო კარდიოლოგიურ კლინიკაში გადაყვანას, მას ჩაუტარდა საჭირო მკურნალობა, რომლის შედეგადაც გულთან დაკავშირებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. განმცხადებლის C ჰეპატიტთან დაკავშირებით, მთავრობამ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ის განიკურნა პიროვნული დარღვევებისა და დეპრესიისგან, 2009 წლის 1-ელ ივლისს განმცხადებელმა დაიწყო ანტივირუსული მედიკამენტების მიღება და მკურნალობა წარმატებით დასრულდა 2009 წლის 29 დეკემბერს.

თავისი არგუმენტის გასამყარებლად, რომ განმცხადებელს ნამდვილად ჩაუტარდა მისი ფსიქიკური მდგომარეობის, გულისა და ღვიძლის პრობლემების ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა, მთავრობამ წარმოადგინა სამედიცინო დოკუმენტების ასლი, რომელიც შეიცავდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში 2006 წლის 18 აგვისტოსთვის მიღებული მედიკამენტების ნუსხას.

მთავრობის არგუმენტის საპასუხოდ, განმცხადებლის წარმომადგენლებმა განაცხადეს შემდეგი: ის ფაქტი, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი 2 წლის განმავლობაში მოათავსეს ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ ნაწილში, რომლის დროსაც მას მუდმივად აძლევდნენ ტრანკვილიზატორებს, ანტიდეპრესანტებსა და ნეიროლეპტიკურ პრეპარატებს, ემსახურება შესაბამისი ხელმძღვანელობის მიერ განმცხადებლის ფსიქიკური დაავადების ფაქტის აღიარებას. წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იმ პირობებში, როცა მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირი ზუგდიდის სასჯელალსრულების დაწესებულებაშია და ციხის საავადმყოფოში მუდმივად ცდილობდა თვითმკვლელობას, ხელმძღვანელობა უნდა მიმხვდარიყო, რომ მას არ ჰქონდა შესაფერისი დამოკიდებულება განმცხადებელთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, როგორც კი განმცხადებელმა სცადა თვითმკვლელობა ვენების გადაჭრით, ის მაშინვე უნდა გადაეყვანათ ციხის საავადმყოფოში და მოეთავსებინათ მუდმივი და შესაფერისი კონტროლის ქვეშ. თუმცა, განმცხადებლის საავადმყოფოში დაგვიანებული გადაყვანის შემდეგ, მან გააგრძელა სუიციდური ქცევა მედიკამენტების ზედმეტი დოზით მიღების გზით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ციხის საავადმყოფოს პერსონალმა ვერ უზრუნველყო განმცხადებლის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ძლიერი მედიკამენტებისადმი.

გულის პრობლემებთან დაკავშირებით, განმცხადებლის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა დასაწყისში უარი განაცხადა სპეციალიზებულ კარდიოლოგიურ კლინიკაში გადაყვანაზე, ვინაიდან მას ერჩივნა, დარჩენილიყო იქ სრული მკურნალობის ჩასატარებლად, ვიდრე – მხოლოდ კორონალური ანგიოგრაფიის გასაკეთებლად. უფრო მეტიც, წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 2009 წლის 15 მაისს განმცხადებლის განერა კარდიოლოგიური კლინიკიდან იყო ნაადრევი, რადგან ინფექციონისტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დანიშნული მისთვის HCV მკურნალობა. წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ციხის საავადმყოფოში HCV მკურნალობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ეფექტური, ვინაიდან ეს საავადმყოფო არ წარმოადგენდა შესაფერის სამედიცინო დაწესებულებას. თავიანთი არგუმენტის გასამყარებლად მათ სასამართლოს მიანოდეს ინფექციური დაავადებების სპეციალისტის მოსაზრება (განმცხადებლის სამედიცინო ისტორიის შესწავლის გარეშე) იმის თაობაზე, რომ, ზოგადად, გულით ავადმყოფ პაციენტებს, რომლებიც გადიან სტაციონარულ მკურნალობას კარდიოლოგიურ კლინიკაში, უნდა დაენიშნოთ ანტი-HCV მედიკამენტები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს საშიში გვერდითი ეფექტები პაციენტის როგორც ზოგად, ისევე მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე და, შესაბამისად, ისინი უნდა იმყოფებოდნენ კარდიოლოგისა და ჰეპატოლოგის ერთობლივი ზედამხედველობის ქვეშ იმავე სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში. ჰეპატიტის მკურნალობასთან დაკავშირებით, განმცხადებლის წარმომადგენლებმა დაამატეს, რომ შესაბამისი ანტივირუსული მედიკამენტების დანიშვნა დაიწყო დაგვიანებით.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ 2010 წლის 1-ელ ოქტომბრამდე საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა მიმართვის ეფექტური შიდასამართლებრივი საშუალებების მიწოდებას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მოსარჩელეს, ეპოვა შვება იმ შემთხვევაში, როცა სასჯელალსრულების დაწესებულებაში სამედიცინო დახმარების განევა ვერ ხერხდებოდა. შესაბამისად, არ იყო საკმარისი, ავადმყოფ დაკავებულს შეეტანა საჩივარი სასამართლოში ადეკვატური სამედიცინო დახმარების გაუწევლობის გამო, რაც შესაბამისი ორგანოების შემფოთებას გამოიწვევდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ.¹

მოცემული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ უფრო შესაფერისი იქნებოდა განმცხადებლის სხვადასხვა დაავადებისადმი ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის ვერუზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრეტენზიის განხილვა მხოლოდ კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე. უფრო მეტიც, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ გარემოებებში, საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, უმჯობესია განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები განხილულიყო კარდიალური და ლვიძლის პრობლემების საკითხისგან განცალკევებით.

სასამართლო შენიშნავს, რომ სამედიცინო მკურნალობის ადეკვატურობის შეფასებისას მან უნდა გამოიჩინოს საკმარისი მოქნილობა მოთხოვნადი სტანდარტული სამედიცინო დახმარების განსაზღვრისთვის, რომელიც უნდა მოერგოს პაციენტის ლეგიტიმურ მოთხოვნებს, მაგრამ ასევე უნდა უთავსდებოდეს ადამიანურ ღირსებასა და სახელმწიფოს მიერ თავისი ვალდებულების სათანადოდ შესრულებას. ამ თვალსაზრისით, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი, ხოლო სამედიცინო პერსონალის მიერ განეული ზედამხედველობა – რეგულარული და სისტემური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას. მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების უბრალო ფაქტი, რომელიც დასაწყისიდანვე აღძრავს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მკურნალობის ადეკვატურობასთან დაკავშირებულ გარკვეულ ეჭვებს, არ არის საკმარისი კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულების დარღვევის დასადგენად, მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა დადგინდეს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა დროულად და კეთილსინდისიერად უზრუნველყვეს ყველა ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების განევა, რამაც ხელი შეუშალა დაავადების პროგრესირებას.² ის, რომ ციხის ხელმძღვანელობას დაკავებული განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სრული ჩანაწერები არ უნარმოებია ან მოპასუხე მთავრობამ მსგავსი ჩანაწერების ვერ წარმოადგინა, სასამართლოს საშუალებას აძლევს გააკეთოს დასკვნა განმცხადებლის ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის ვერგანევისასთან დაკავშირებული ბრალდებების არსებით მხარესთან მიმართებით.³

დაკავებული მომჩივანი, რომელსაც ანუხებს ფსიქიკური დარღვევები, შეიძლება იყოს უფრო მეტად მგრძნობიარე არასრულფასოვნებისა და უსუსურობის შეგრძნებების მიმართ, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს მომატებული სიფხიზლე სასჯელალსრულების დაწესებულებაში ფსიქიატრიული მკურნალობის ადეკვატურობის საკითხის გან-

¹ Goginashvili v. Georgia, no. 47729/08, §§ 51-61, 4 October 2011, and Makharadze and Sikharulidze v. Georgia, no. 35254/07, §§ 53-55, 22 November 2011.

² (იხ. Goginashvili, §§ 69-71)

³ Gladkiy v. Russia, no. 3242/03, §90, 21 December 2010

ხილვასთან მიმართებით.⁴ მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსჯისას, რაც უკავშირდება სუიციდისკენ მიდრეკილი დაკავებული პირის კეთილდღეობას, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდნათ იმ დროისთვის განმცხადებლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რეალური და მყისიერი რისკების არსებობის შესახებ და დადებითი პასუხის შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ მათ ვერ შეძლეს სიფრთხილის საჭირო ზომების მიღება თვითდაზიანების შესაძლებლობის შემცირების მიზნით.⁵

სასამართლო შენიშნავს, რომ შესაბამისმა ორგანოებმა შეისწავლეს განმცხადებლის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები, როცა ფსიქიატრთა კომისიამ სამედიცინო დასკვნის სახით რეკომენდაცია მისცა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს, რომ განმცხადებელს უნდა გაეწყო სრული ფსიქიატრიული გამოკვლევა სწორი დიაგნოზის დასასმელად. ამ თვალსაზრისით, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შესაბამისი ორგანოების უარზე, აღესრულებინათ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება და განმცხადებელი მოეთავსებინათ ფსიქიატრიულ კლინიკაში სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმამ აშკარად შეუშალა ხელი განმცხადებლის შესაფერისი მკურნალობის გეგმის დროულ შემუშავებას. უფრო მეტიც, ამ საკითხზე მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით, სასამართლომ, მთავრობის არგუმენტის საპირისპიროდ, არ შეუძლია დაასკვნას რომ გადაწყვეტილების აღსრულება იყო ობიექტურად შეუძლებელი. სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაბამისი ორგანოების მხრიდან განმცხადებლის ფსიქიატრიული გამოკვლევის ჩატარების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობის გარდა, ზემოხსენებული გაუმართლებელი დაგვიანება სწორი დიაგნოზის დასმის დროს აშკარად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული როგორც გონივრული და ჯეროვანი ქმედება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ფსიქიკურად არამდგრადი დაკავებულის კეთილდღეობას საფრთხე ემუქრება.

ზემოხსენებული დაგვიანება, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის ფსიქიკურ დარღვევასთან დაკავშირებით დიაგნოზის დასმას, იყო აშკარად ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ დაიწყო ნეიროლექტიკური პრეპარატებით, ანტიდეპრესანტებითა და ტრანკვილიზატორებით მკურნალობა ასე გვიან, 2006 წლის 18 აგვისტოს, როცა ის ბოლოს და ბოლოს გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში. ამ თარიღამდე განმცხადებელს არ უტარებოდა პიროვნული დარღვევისა და დეპრესიის შესაბამისი ფსიქიატრიული მკურნალობა ამბულატორიულად, როგორც თბილისის №5, ისე ზუგდიდის საპრობილექტში, რასაც ადასტურებს ის, რომ მთავრობამ არსებული სამედიცინო ჩანაწერები დროის შესაბამის პერიოდში ვერ წარუდგინა სასამართლოს. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ფსიქიატრიული ან ფსიქოლოგიური მკურნალობის ჩატარება ფსიქიკურად არამდგრადი პაციენტებისთვის იმ დროს შესაძლებელი იყო მათი გადაყვანით ციხის საავადმყოფოში, რაც მომჩივნის შემთხვევაში არ მომხდარა 2006 წლის 18 აგვისტომდე.

ამ დროის განმავლობაში განმცხადებლის ფსიქიკურმა დარღვევამ და დეპრესიამ, რომელთა მკურნალობა არ მიმდინარებოდა, გამოიწვია თვითმკვლელობის რამდენიმე მცდელობა ვენების გადაჭრის ან სხვადასხვა მედიკამენტის ზედმეტი დოზის მიღების გზით. ამ განმეორებითმა ინციდენტებმა, რომლებიც ხდებოდა რეგულარულად და საკმაოდ მოკლე ინტერვალებით, სასამართლოს აზრით, აღძრა დასაბუთებული

⁴ Siawomir Musiai v. Poland, no.28300/06, §§87 and 96, 20 January 2009; Dybeku v. Albania, no 41153/06, §47, 18 December 2007

⁵ Shumkova v. Russia, no. 9296/06, §§ 90-91, 14 February 2012

ეჭვი ციხის ხელმძღვანელობის კეთილსინდისიერების შესახებ მომჩინის თვითდაზიანებასთან მიმართებით. მაგალითისთვის, სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ როგორ ვერ შეძლო ციხის ხელმძღვანელობამ, რომელიც ინფორმირებული იყო განმცხადებლის პიროვნული დარღვევებისა და მისი თვითდაზიანებისკენ მიდრეკილების შესახებ, განეხორციელებინა ისეთი სერიოზული მედიკამენტების ხელმისაწვდომობის მკაცრი მონიტორინგი როგორებიცაა: ანტიბიოტიკები და ტრანკვილიზატორები, რამაც გამოიწვია განმცხადებლის მხრიდან თვითმკვლელობის მეორე მცდელობა. ამასთან დაკავშირებით, შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის სუიციდური მცდელობების აღკვეთა, რაც შესაძლებელი იყო დროული და ეფექტიანი გამოძიების დაწყებით ცალკეული შემთხვევის დროს.

შემაშფოთებელია ასევე განმცხადებლის ფსიქიატრიულ კლინიკაში მოთავსების შესახებ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების აღსრულებაზე გაუმართელებელი უარი. მაშინ როცა, ციხის ხელმძღვანელობა კარგად იყო ინფორმირებული განმცხადებლის თვითდაზიანებებისკენ მიდრეკილების შესახებ, მან არ დაანესა უფრო მკაცრი კონტროლი მის ქცევაზე, შესაბამისად, ვერ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება და ვერ შეამცირა სუიციდის მცდელობის რისკი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ეს ფაქტები საკმარისია სასამართლოსთვის რომ დასკვნას: საქმის სხვა ასპექტების გამოკვლევის გარეშეც ნათელია, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, ვინაიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვერ იქნა უზრუნველყოფილი განმცხადებლის ფსიქიკური პრობლემების ადეკვატური და დროული მკურნალობა.

სამედიცინო დოკუმენტების გათვალისწინებით, სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებლის გულის პრობლემებთან მიმართებით ციხის ხელმძღვანელობამ დროულად უზრუნველყო საჭირო მკურნალობის ჩატარება მისი ციხის საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში – 2006 წლის 18 აგვისტოდან 2008 წლის 31 ივლისამდე. აღსანიშნავია, რომ განმცხადებელმა გაიარა კონსულტაციები კარდიოლოგთან, სისხლძარღვთა ქირურგთან და სხვა სპეციალისტებთან, მას ასევე ჩაუტარდა აუცილებელი სამედიცინო გამოკვლევები ელექტროკარდიოგრაფიისა და სისხლძარღვოვანი სისტემის სკანირების ჩათვლით, განმცხადებელს დაუნიშნეს გულის პრეპარატები და ა.შ.⁶

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც განმცხადებლის ცალკეული სურვილისა და მოთხოვნის წამოყენების საშუალება, რაც მომჩინავს მორგებულ სამედიცინო მკურნალობას უკავშირდება. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერი დაკავების პრაქტიკული მოთხოვნები შეიძლება აწესებდეს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც პატიმარმა უნდა მიიღოს.⁷ განმცხადებლის თავდაპირველი უარის მიუხედავად, ციხის ხელმძღვანელობამ მოახერხა მისი გადაყვანა კერძო კლინიკაში, რომელიც სპეციალიზებული იყო კარდიოლოგიურ მკურნალობაზე. ამ დაწესებულებაში მას ჩაუტარდა მრავალი გამოკვლევა სახელმწიფოს ხარჯით და დაენიშნა სხვადასხვა კარდიოლოგიური მედიკამენტები, რის შედეგადაც მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.⁸

სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია, რომ ციხის ხელმძღვანელობამ დაიწყო განმცხადებლისათვის ანტივირუსული მედიკამენტების მიწოდება ჰეპატიტის სამკურ-

⁶ Goginashvili , §§73-76; Testa v. Croatia, no.20877/04, §52, 12 July 2007; Poghosyan v. Georgia , no.9870/07, §57, 24 February 2009

⁷ Mathew v. the Netherlands, no.24919/03, §186, ECHR, 2005-IX

⁸ Pitalev v. Russia, no.34393/03, §57, 30 July 2009; Akhmetov v. Russia, no.37463/04, §81, 1 April 2010

ნალოდ, სამედიცინო მონიტორინგის ქვეშ, რის შედეგადაც ვირუსის მაჩვენებელი ორგანიზმში ისე შემცირდა, რომ სისხლში მისი აღმოჩენა შეუძლებელი გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ მკურნალობა არ დანყებულა დიაგნოზის დასმისთანავე, თუმცა საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ ეს დაგვიანება უკავშირდებოდა ექიმის პროფესიულ სიფრთხილეს. ანტივირუსული მედიკამენტების ძლიერი გვერდითი ეფექტების გათვალისწინებით, პირველად საჭირო იყო პიროვნული დარღვევებისა და დეპრესიის სიმპტომების მკურნალობა და ზუსტად ეს მოხდა მომჩივნის შემთხვევაში.⁹

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ციხის ხელმძღვანელობამ გამოავლინა სათანადო კეთილსინდისიერება და უზრუნველყო განმცხადებლისათვის საკმარისად დროული და სტრატეგიულად დაგეგმილი თერაპიის შეთავაზება გულისა და ღვიძლის პრობლემების სამკურნალოდ. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობის მკურნალობის გამო;

ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებლის გულისა და ღვიძლის პრობლემების მკურნალობის გამო;

მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა 3000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

⁹ Sarban v. Moldova, no.3456/05, §79, 4 October 2005; Popov v. Russia, no. 26853/04, §211, 13 July 2006

ილდანი საქართველოს წინააღმდეგ Case of Ildani vs. Georgia (№65391/09)

2009 წლის 30 ნოემბერს გიორგი ილდანიმ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2013 წლის 23 აპრილს სტრასბურგის სასამართლომ განიხილა განაცხადი (№65391/09) და დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი დაიბადა 1986 წელს და ამჟამად სასჯელს იხდის რუსთავის №1 საპყრობილეში. 2007 წლის 4 ოქტომბერს იგი დააკავეს, როგორც ეჭვმიტანილი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შესყიდვასა და ფლობაში. 2007 წლის 19 ნოემბერს ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული საქმე გაერთიანდა სხვა სისხლის სამართლის საქმესთან, რომელიც ეხებოდა რამდენიმე შეიარაღებულ ძარცვაში განმცხადებლის სავარაუდო მონაწილეობას. 2007 წლის 8 დეკემბერს განმცხადებელი მოათავსეს გლდანის №8 საპყრობილეში. მისი თქმით, დაუზუსტებელ დღეს მას სცემეს ციხის თანამშრომლებმა. განმცხადებელს მანამდე არ გამოუთქვამს პრეტენზია სამართალდამცავ ორგანოებთან მის სავარაუდო ცემასთან დაკავშირებით.

2008 წლის 24 ივნისს ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობისა და დამამძიმებელ გარემოებებში ორი სხვადასხვა შეიარაღებული ძარცვის საქმეში, შეუფარდა 20 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ასევე დააკისრა ჯარიმა. 2009 წლის 6 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მცირედით შეცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია, ძალაში დატოვა განაჩენი, მაგრამ განმცხადებელს შეუმცირა პატიმრობის ვადა, 17 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა და ასევე დააკისრა ჯარიმა. 2009 წლის 1-ელ ივნისს უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა განმცხადებლის საკაცაციო სარჩელის განხილვაზე. განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა შიდა სასამართლო გადაწყვეტილებათა ასლები.

განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა

როგორც განმცხადებლის სამედიცინო მასალებიდან ირკვევა, ის დაავადებული იყო ეპილეფსიით, რომელიც მას დაკავებამდე განუვითარდა. 2008 წლის 18 ივლისს განმცხადებელი მოათავსეს რუსთავის №6 საპყრობილეში. დაწესებულების მთავარი ექიმის 2008 წლის 27 ნოემბრის სამედიცინო დასკვნაში მითითებულია ქრონიკული ბრონქიტისა და ნეიროცირკულარული დისტონიის დიაგნოზი.

განმცხადებლის მტკიცებით, იმ დროისათვის მას უარი ეთქვა სამედიცინო დახმარებაზე; მას ოჯახი აწვდიდა საჭირო მედიკამენტებს. ამ განცხადების გასამყარებლად მან წარმოადგინა აფთიაქის მიერ გაცემული ორი ქვითარი, სადაც მითითებული იყო რამდენიმე მედიკამენტის შექენა. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ რუსთავის №6 საპყრობილეში ცუდი პირობები იყო. ის იმყოფებოდა არასათანადო სანიტარიულ და ჰიგიენურ პირობებში, მას არ ჰქონდა შესაბამისი საპირფარეო და საკნის გარეთ სეირნობის უფლება.

დაუდგენელ დღეს განმცხადებლის დედამ მიმართა რუსთავის №6 საპყრობილის უფროსს მისი ვაჟის სამედიცინო მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით და მოითხოვა ციხის სამედიცინო დაწესებულებაში მისი გადაყვანა. 2009 წლის 13 აგვისტოს ციხის უფროსმა უპასუხა, რომ მისი შვილის სამედიცინო მდგომარეობა იყო სტაბილური, მის ჯანმრთელობას აკვირდებოდნენ ექიმები, იღებდა მედიკამენტებს და არ საჭიროებდა ციხის საავადმყოფოში გადაყვანას.

2010 წლის 30 იანვარს განმცხადებლის ადვოკატმა რუსთავის №6 საპყრობილის უფროსსა და მთავარ ექიმს მიმართა წერილით, რომელშიც ყურადღება გაამახვილა განმცხადებლის სამედიცინო მდგომარეობის გაუარესებაზე. ადვოკატმა აღნიშნა გლდანის №8 საპყრობილეში მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მიმართ არასათანადო მოპყრობა და ხაზი გაუსვა, რომ ამის შედეგად განმცხადებელს დაუზიანდა თავი, აწუხებდა ეპილექსიური შეტევები და დაუქვეითდა სმენა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ციხეში არ დაუნიშნეს შესაბამისი მკურნალობა და სხვა დაზიანებებს შორის ჰქონდა მოძრაობისა და მეტყველების პრობლემები. ადვოკატმა თხოვნით მიმართა ციხის უფროსს, უზრუნველყო მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სრულფასოვანი სამედიცინო შემოწმება. მან აგრეთვე მოითხოვა განმცხადებლის სრული სამედიცინო დოკუმენტაცია.

2010 წლის 17 თებერვალს განმცხადებელს დაუსვეს კეროვანი ფილტვის ტუბერკულოზის დიაგნოზი და მისი მდგომარეობა შეფასდა, როგორც ზომიერად მძიმე. 2010 წლის 23 თებერვალს განმცხადებელი ჩართეს DOTS-ის პროგრამაში (მკურნალობა უშუალო ზედამხედველობის ქვეშ, მოკლე კურსი – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული მკურნალობის სტრატეგია ტუბერკულოზის გამოვლენისა და მკურნალობისათვის) და მან დაიწყო ტრადიციული, პირველი ხაზის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიღება. ამას გარდა, ის იღებდა ვიტამინებს. 2010 წლის 4 მარტს განმცხადებელი მკურნალობის მიზნით გადაიყვანეს ქსნის №8 საპყრობილეში, სადაც ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები არიან მოთავსებული.

2010 წლის 28 აპრილს განმცხადებლის ადვოკატმა მოითხოვა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისაგან სამედიცინო ჩანაწერების ყველა ასლი, რომლებიც უკავშირდება მისი დაცვის ქვეშ მყოფის სამედიცინო მდგომარეობას დაკავების პირველივე დღიდან. 2010 წლის 19 მაისს ადვოკატს მიანოდეს სამედიცინო დოკუმენტაციის ასლი, სადაც მითითებული იყო 2010 წლის თებერვლიდან განმცხადებლისთვის დანიშნული მკურნალობა.

2010 წლის 21 მაისს მომჩივანს ჩაუტარდა ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, რომლის შედეგად დადგინდა, რომ პაციენტი ბაქტერიაგამომყოფი არ არის. მკურნალობის პირველი ეტაპი წარმატებული აღმოჩნდა. შესაბამისად, 2010 წლის 23 ივლისს განმცხადებელი ქსნის №8 საპყრობილიდან რუსთავის №1 საპყრობილის სამედიცინო ნაწილში გადაიყვანეს, სადაც ანტიტუბერკულოზური მკურნალობის მე-2 ეტაპი დაიწყო. განმცხადებელი განაგრძობდა მედიკამენტების მიღებას.

განმცხადებლის მდგომარეობასთან დაკავშირებული ბოლო სამედიცინო ჩანაწერები თარიღდება 2011 წლის აპრილ-მაისით. სამედიცინო გამოკვლევების შედეგები, სხვადასხვა რენტგენოლოგიური გამოკვლევები და ანალიზები მიუთითებს, რომ განმცხადებლის ტუბერკულოზი იყო არააქტიურ ფაზაში. მას არ ჰქონია სხვა სამედიცინო პრობლემების მხრივ გამწვავების ან გაუარესების ნიშნები. განმცხადებელს გაენია მედიკამენტოზური მკურნალობა ამბულატორიულად, რუსთავის №1 საპყრობილეში.

მხარეთა არგუმენტები

მთავრობამ განაცხადა, რომ პრეტენზია პატიმრობის მძიმე პირობებთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია. თავისი არგუმენტის გასამყარებლად მან წარმოადგინა ციხის ადმინისტრაციის ორი წერილი, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი განმცხადებლის პატიმრობის პირობები. ამ წერილების თანახმად, განმცხადებელი მოთავსებული იყო დამაკმაყოფილებელ პირობებში, სანიტარული და ჰიგიენური ნორმები დაცული იყო, მას საშუალება ჰქონდა, მიეღო შხაპი, სულ მცირე, კვირაში ერთხელ და ასევე, მას აწვდიდნენ ძირითად ჰიგიენურ საშუალებებს. რუსთავის №1 საპყრობილეში, რომელიც ღია ტიპის დაწესებულებაა, განმცხადებელს შეეძლო ყოველდღიურად 6 საათი საკნის გარეთ გაეტარებინა, მაშინ, როცა რუსთავის №6 დაწესებულებაში, რომელიც დახურული ტიპის დაწესებულებაა, მას დღეში ერთი საათით სეირნობის უფლება ჰქონდა. მთავრობამ აღნიშნა, რომ შესაბამის მომწოდებელთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, საკვები ორივე საპყრობილეში მზადდებოდა დადგენილი სტანდარტების მიხედვით და განმცხადებელი რეგულარულად იღებდა ძირითად ჰიგიენურ საშუალებებს. საერთო ჯამში, განმცხადებლის პატიმრობის პირობები შესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლს.

განმცხადებლის ტუბერკულოზით სავარაუდო დაინფიცირებასა და ციხეში მის არაადეკვატურ სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებით მთავრობამ განაცხადა, რომ ეს პრეტენზიები ნაადრევი იყო, ვინაიდან განმცხადებელს არასდროს გამოუთქვამს ციხეში არასათანადო მკურნალობასთან დაკავშირებით პრეტენზიები სათანადო ადმინისტრაციული წესით, არასოდეს მოუთხოვია კომპენსაცია მორალური ზიანისათვის, ზოგადი ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსების შესაბამისი დებულებების თანახმად.

მთავრობამ განაცხადა, რომ კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება არ მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, ჩაატაროს სავალდებულო შემოწმება ტუბერკულოზის დადგენის მიზნით. ამ თვალსაზრისით, მან აღნიშნა, რომ განმცხადებელმა ტუბერკულოზით დაავადებასთან დაკავშირებული ჩივილი პირველად გამოხატა 2010 წლის იანვარში და 2010 წლის თებერვალში მას ჩაუტარდა ყველა საჭირო სამედიცინო გამოკვლევა და დაენიშნა მკურნალობა. აქედან გამომდინარე, ტუბერკულოზის გამოკვლევა დაგვიანებული არ იყო.

ანტიტუბერკულოზურ მკურნალობასთან დაკავშირებით, მთავრობამ აღნიშნა, რომ შესაბამის სამედიცინო ჩანაწერებზე დაყრდნობით, განმცხადებელს, მას შემდეგ, რაც მას დაუსვეს ტუბერკულოზის დიაგნოზი, საჭირო სამედიცინო დახმარება გაენია უწყვეტად. საწყის ეტაპზე მას დაენიშნა სრული სტაციონარული მკურნალობა ციხის საავადმყოფოსა და ქსნის საპყრობილეში, რაც მოიცავდა შესაბამის ანალიზებს, განმეორებით კონსულტაციებს სპეციალისტებთან, საჭირო მედიკამენტებს და ა.შ. შემდეგ განმცხადებელი გადაიყვანეს რუსთავის №1 საპყრობილეში. მთავრობამ განმარტა, რომ ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მისი მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შემდეგ. მთავრობამ არ გაიზიარა განმცხადებლის ბრალდება, რომლის მიხედვითაც, რუსთავის №1 საპყრობილეს არ გააჩნდა სათანადო შესაძლებლობა, მისთვის გაენია ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა. ამასთან მიმართებით, მთავრობამ წარმოადგინა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს 2010 წლის 18 აგვისტოს წერილი, რომლის თანახმად, DOTS-ის პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს დაინფიცირებულ პატიმრებს, მიიღონ ანტიტუბერკულოზური მედიკამენტები, რუსთავის №1 საპყრობილეში 2010 წლის 10 ივნისიდან ხორციელდებოდა.

განმცხადებლის სხვა დაავადებებთან დაკავშირებით, მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ მას ჩაუტარდა საჭირო სამედიცინო მკურნალობა დაკავების პირველივე დღეებიდან. ამ არგუმენტის გასამყარებლად, რომელიც ძირითადად მოიცავდა რუსთავის №6 საპყრობილეში სავარაუდო ხელმისაწვდომ მკურნალობას, მთავრობამ წარმოადგინა ციხის ადმინისტრაციის 2009 წლის 13 აგვისტოს წერილი და ერთგვერდიანი ამონაწერი სამედიცინო დოკუმენტაციიდან თარიღისა და სახელწოდების გარეშე. 2010 წლის თებერვლის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით, მთავრობამ წარმოადგინა განმცხადებლის სრული სამედიცინო დოკუმენტაციის ასლები. მთავრობის განცხადებით, შესაბამისი ამონაწერები მიუთითებდა, რომ მომჩივანს ჩაუტარდა ეპილექსიის, ბრონქიტისა და სხვა მცირე დაავადებების სანინაალმდეგო ადეკვატური მკურნალობა.

ამის პასუხად, განმცხადებელმა კვლავ გაიმეორა პრეტენზია, რომ ციხეში მისთვის ჩატარებული მკურნალობა არაადეკვატური იყო. მან შენიშნა, რომ სამედიცინო გამოკვლევა, განმეორებითი სამედიცინო ჩივილების მიუხედავად, ჩაუტარდა საკმაოდ დაგვიანებით, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მის მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, მისი რვათვიანი ანტიტუბერკულოზური მკურნალობის კურსი ქსნის №8 საპყრობილეში მოულოდნელად შეწყდა 2010 წლის 23 ივლისს მისი გაუმართლებელი გადაყვანის გამო რუსთავის №1 საპყრობილეში, რადგან ეს დაწესებულება არ იყო სათანადოდ აღჭურვილი, შესაბამისი მკურნალობის გასანევად. და ბოლოს, განმცხადებელმა ბუნდოვნად აღნიშნა, რომ მას არ ჩაუტარდა სხვა დაავადებების მკურნალობა.

ასევე, განმცხადებელმა კვლავ გაიმეორა ზოგადი ბრალდებები ცუდი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების, არასაკმარისი სეირნობისა და კვების შესახებ, თუმცა, არ წარმოუდგენია რაიმე კონკრეტული დეტალები.

სამედიცინო პრობლემასთან დაკავშირებულ პრეტენზიასთან მიმართებით განმცხადებელმა განაცხადა, რომ მთავრობის მიერ შეთავაზებული მიმართვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალება იყო სრულიად უშედეგო, ვინაიდან ის მოიცავდა ხანგრძლივ და არაეფექტიან სასამართლო პროცესს. მან კომენტარი არ გააკეთა მთავრობის მიერ შეთავაზებულ საკომპენსაციო საშუალებებზე.

სასამართლოს შეფასება

სასამართლო შენიშნავს, რომ ინფორმაცია პატიმრობის პირობების შესახებ განეკუთვნება შესაბამის ეროვნულ უწყებათა კომპეტენციას. შესაბამისად, აპლიკანტები, შესაძლოა, აწყდებიან გარკვეულ სირთულეებს ამ საკითხთან დაკავშირებული პრეტენზიის დასაბუთებისათვის საჭირო მტკიცებულების მოპოვებისას. მსგავს შემთხვევებში, განმცხადებელმა, სულ მცირე, მაქსიმალურად დეტალურად უნდა აღწეროს ის ფაქტები, რომელთა მიმართაც გააჩნია პრეტენზიები – უნდა მოიყვანოს რამდენიმე მტკიცებულება მისი პრეტენზიის გასამყარებლად.¹

ციხეში ტუბერკულოზით სავარაუდო დაინფიცირებასთან დაკავშირებით განმცხადებელს არასოდეს მიუმართავს სასამართლოსათვის სამოქალაქო საჩივრით, მისი სავარაუდო დაინფიცირებით გამოწვეული ზიანის გამო. სასამართლო შენიშნავს, რომ მსგავს სიტუაციებში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის საფუძველზე წამოყენებული სამოქალაქო სარჩელი ზიანის მიყენების შესახებ იყო ყველაზე ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება². სასამართლო ადგენს, რომ კონვენცი-

¹ Visloguzov v. Ukraine, no.32362/02, §45, 20 May 2010, and Ukhan v. Ukraine, no.30628/02, §65, 18 December 2008

² Goloshvili v. Georgia, no.45566/08, §§24-25 and 32-33, 23 October 2012; Jeladze, §35

ის მე-3 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია არ უნდა იქნეს მიღებული კონვენციის 35-ე (§§1 და 4) მუხლის თანახმად, რადგად მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები არ არის ამოწურული.

ციხეში ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის არარსებობასთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ 2010 წლის 1-ელ ოქტომბრამდე საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა მოსარჩელე მხარეს არ აძლევდა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალებას, მოეპოვებინა საკომპენსაციო დახმარება, რომელიც ციხეში არასათანადო მკურნალობასთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, სამედიცინო პრობლემის მქონე ყველა პატიმარს, რომლებიც ისურვებდნენ, საჩივრით მიემართათ სასამართლოსთვის, საკმარისი იყო გაეფრთხილებინა შესაბამისი ორგანოები, რომ მათ ყურადღება გაემახვილებინათ მათ სამედიცინო მდგომარეობაზე³. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ციხის ადმინისტრაცია სათანადოდ უნდა ყოფილიყო ინფორმირებული განმცხადებლის სამედიცინო მდგომარეობის შესახებ, რათა ჰქონოდა ვითარების გამოსწორების შეთავაზების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ამ საკითხთან მიმართებით ზემოხსენებული სასამართლო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, სასამართლო არ ითვალისწინებს მთავრობის პროტესტს მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამოწურვასთან დაკავშირებით.

სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის პრეტენზია შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: მისთვის ტუბერკულოზის დიაგნოზის დადასტურებამდე და 2010 წლის თებერვალში – ამ დიაგნოზის დასმის შემდეგ.

(i) 2010 წლის თებერვლამდე პერიოდი

სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელი დააკავეს 2007 წლის 4 ოქტომბერს და მაშინვე მოხვდა წინასწარი დაკავების იზოლაციაში. 2008 წლის ნოემბერში მას დაუსვეს ქრონიკული ბრონქიტის დიაგნოზი.

ამ კუთხით, სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს მთავრობის არგუმენტზე განმცხადებლისთვის ტუბერკულოზის დიაგნოზის დადგენის მიზნით გამოკვლევის დროულად ჩატარების შესახებ. ტუბერკულოზის პრობლემის სიმძიმე, ისევე როგორც ზემოხსენებული სამედიცინო შემონმების როლი, დაავადების გავრცელების მინიმიზაციის თვალსაზრისით, უკვე აღიარებულია სასამართლოს მიერ ამ საკითხთან დაკავშირებულ მის პრეცედენტულ სამართალში⁴. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელს არ ჩაუტარდა სამედიცინო შემონმება ტუბერკულოზის დადგენის მიზნით მისი დაკავებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში. ქრონიკული ბრონქიტის დიაგნოზის დასმის შემდეგაც კი მისი მოთხოვნა სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ უყურადღებოდ დარჩა. სასამართლო ამას აფასებს, ციხის ადმინისტრაციის მიერ გამოჩენილ დაუდევრობად, რაც შეუთავსებელია ზოგად ვალდებულებასთან, უზრუნველყოს ციხეებში ტუბერკულოზისა და სხვა გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენცია⁵.

სასამართლო შენიშნავს, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა დაკავების საწყის პერიოდში განმცხადებლის სამედიცინო მდგომარეობასთან ან იმ დროისთვის მისთვის

³ Goginashvili, §§51-54 and 57; Makharadze and Sikharulidze, §§53-55; Goloshvili, §§34-35; Irakli Mindadze, §§31-33
⁴ Ghavtadze v. Georgia, no.23204/07, §§103 105, 3 March 2009; Poghosyan, §69; and mutatis mutandis, Jeladze, §44
⁵ Jeladze, §44

დანიშნულ მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო დასკვნა⁶. ციხის უფროსის წერილი ან ერთგვერდიანი ამონაწერი სამედიცინო დოკუმენტაციიდან ვერ ჩათვლება საკმარის მტკიცებულებად ამ საქმეში⁷.

სასამართლოს აზრით, მთავრობამ ვერ შეძლო პატიმრობაში მყოფი განმცხადებლის სამედიცინო მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარმოდგენა და, შესაბამისად, ვერ მოიხსნა მტკიცების ტვირთი⁸. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ 2010 წლის თებერვლამდე განმცხადებელი დარჩა სათანადო სამედიცინო დახმარების გარეშე, რითაც დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

(ii) 2010 წლის თებერვლის შემდგომი პერიოდი

დიაგნოზის დასმის შემდგომ პერიოდთან დაკავშირებით, სასამართლო შენიშნავს, რომ 2010 წლის თებერვლის დასაწყისში განმცხადებელს დაუსვეს ტუბერკულოზის დიაგნოზი, ინფილტრაციის ფაზაში. ის მაშინვე ჩართეს DOTS-ის პროგრამაში და განმცხადებელმა დაიწყო საჭირო პირველი ხაზის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიღება ქსნის №8 საპრობილეში. 2010 წლის 21 მაისს განმცხადებელს ჩაუტარდა ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა. 2010 წლის 23 ივლისს ის გადაიყვანეს რუსთავის №1 საპრობილის სამედიცინო ნაწილში, სადაც განმცხადებელმა დაიწყო ანტიტუბერკულოზური მკურნალობის მე-2 ეტაპი.

სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი ჩვეულებრივ ციხეში გადაიყვანეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ანტიტუბერკულოზური მკურნალობის პირველი ეტაპი დასრულდა დადებითი შედეგით. სასამართლო შემდგომში შენიშნავს, რომ განმცხადებლის რვათვიანი მკურნალობის პროცესი არ შეწყვეტილა და გაგრძელდა რუსთავის №1 საპრობილეში. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ერთადერთი განსახილველი საკითხი არის იმის შეფასება, თუ რამდენად სათანადოდ იყო აღჭურვილი რუსთავის №1 საპრობილე, რათა უზრუნველყო განმცხადებლისთვის ანტიტუბერკულოზური მკურნალობის მე-2 ეტაპის ჩატარება.

ამ თვალსაზრისით, სასამართლო შემდეგ შენიშნავს აკეთებს: უპირველეს ყოვლისა, DOTS-ის პროგრამა რუსთავის №1 საპრობილეში 2010 წლის 10 ივნისიდან ხორციელდებოდა, ხოლო განმცხადებელი იქ გადაიყვანეს 2010 წლის 23 ივლისს; მეორე, ხელმისაწვდომი სამედიცინო დასკვნის თანახმად, განმცხადებელმა გააგრძელა მე-2 ეტაპის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების მიღება DOTS-ის სტანდარტების შესაბამისად; მესამე, ხელმისაწვდომი სამედიცინო დასკვნა აჩვენებს, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა მუდმივი სამედიცინო დაკვირვების ქვეშ რუსთავის №1 საპრობილეში მისი გადაყვანის შემდეგ, პერიოდულად უტარდებოდა სამედიცინო შემოწმება ციხის საავადმყოფოში. დასასრულს, განმცხადებლისთვის ჩატარებულმა ბოლო ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ნაცხი უარყოფითი იყო.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებლის არგუმენტი რუსთავის №1 საპრობილეში არაადეკვატური ანტიტუბერკულოზური მკურნალობის ჩატარებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებელია. სასამართლო აღიარებს, რომ შესაძლოა სტაციონარულ მკურნალობას გააჩნია გარკვეული უპირატესობები და ასკვნის, რომ განმცხადებლის სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადო შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს საკმარისი საფუძველი კითხვის ნიშნის

⁶ *a contrario*, Goginashvili, §72; Janiashvili, §70

⁷ Irakli Mindadze, §§42-45

⁸ Jeladze, §45; Irakli Mindadze, §47; *a contrario*, Goginashvili, §72; Janiashvili, §75

ქვეშ დადგეს მისთვის ჩატარებული ანტიტუბერკულოზური მკურნალობის საკითხი 2010 წლის თებერვალში, ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმის შემდეგ.

განმცხადებლის სხვა დაავადებებთან მიმართებით მთავრობამ წარმოადგინა სრული სამედიცინო დოკუმენტაცია, რომლიდანაც ჩანს, რომ აპლიკანტის ჯანმრთელობას მუდმივად აკვირდებოდა სამედიცინო პერსონალი. ეს ეხება 2010 წლის თებერვლის შემდგომ პერიოდს; მისი ეპილევსია მუდმივად კონტროლდებოდა, ეპილევსიური შეტევები არ დაფიქსირებულა და იგი იღებდა შესაბამის მედიკამენტებს ამ და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ. ამრიგად, აპლიკანტმა ვერ შეძლო ამ მხრივ რაიმე შეუსაბამობის დასახელება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს რომ განმცხადებლისთვის 2010 წლის თებერვალში დიაგნოზის დასმის შემდგომი მკურნალობის ჩატარების კუთხით კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე განმცხადებელი აცხადებდა, რომ მას დაუდგენელ დღეს სცემეს ციხის დაუდგენელმა თანამშრომლებმა გლდანის №8 საპყრობილეში. კონვენციის მე-6 (§1) მუხლის თანახმად, ის აგრეთვე ასაჩივრებდა მის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების შედეგს. განმცხადებელმა განაცხადა, რომ შიდა სასამართლომ არასათანადოდ შეაფასა მის საქმესთან დაკავშირებული გარემოებები და რომ პირთა ბრალეულობის დამადასტურებელი სამხილების მხარდაჭერის ნაცვლად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა დაცვის მხარის არგუმენტები. კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე, ზემოხსენებული დებულების გათვალისწინებით, აპლიკანტმა აგრეთვე წამოაყენა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ უზენაესი სასამართლო არ აღმოჩნდა ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება, ვინაიდან მისი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

ყველა მის ხელთ არსებული მასალის საფუძველზე და ამ საკითხებთან დაკავშირებული მისი კომპეტენციის ფარგლებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მან ვერ აღმოაჩინა კონვენციითა და დამატებითი ოქმებით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლების დარღვევის ნიშნები. საჩივრის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, კონვენციის 35-ე (§3-„ა“ და §4) მუხლის თანახმად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი ციხეში, 2010 წლის თებერვალამდე, მომჩივნის არაადეკვატური სამედიცინო მკურნალობის გამო;

ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი ციხეში, 2010 წლის თებერვლის შემდეგ, მომჩივნის სამედიცინო მკურნალობის გამო;

სახელმწიფოს დაეკისრა 4.500 (ოთხი ათას ხუთასი) ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

ომარ ლანჩავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ Case of Omar Lanchava and Others vs. Georgia (№25678/09)

(დაუშვებლად ცნობა)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მესამე სექცია) 2012 წლის 7 თებერვლის სხდომაზე მხედველობაში მიიღო 2009 წლის 24 მარტს შემოტანილი საჩივარი და განხილვის შემდეგ გამოიტანა წინამდებარე განჩინება:

ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტები საქართველოს მოქალაქეები არიან. 1991-92 წლებში მათ, როგორც სახელმწიფოს მხარდაჭერით არსებული კოოპერაციული საამშენებლო კომპანიის წევრებმა, გადაიხადეს სხვადასხვა რაოდენობის თანხა საბჭოთა რუბლებში (იმ დროისათვის კანონით დადგენილი საგადამხდელო ერთეული), თბილისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულების სანაცვლოდ უზრუნველყოთ ისინი პრივილეგირებული პირობებით, ახალი საცხოვრებელი ბინებით. გადასახადი თანხა დაანგარიშდა იმ დროისათვის საქართველოში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შესაბამისად. აღნიშნული ტრანზაქციის ნამდვილობა დამტკიცებული იყო მთელი რიგი სამართლებრივი აქტებით, რომლებიც მაშინ გასცა მუნიციპალიტეტმა.

ფინანსური კრიზისის გამო, რომელშიც აღმოჩნდა სახელმწიფო (საბჭოთა კავშირის დაშლა, გარდამავალი პერიოდი, სახელმწიფოს კონტროლირებადი ეკონომიკა 90-იანი წლების დასაწყისის ბაზარზე), თბილისის მუნიციპალიტეტმა ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. შესაბამისად, განმცხადებელთა ბინების მშენებლობა აღარ დაწყებულა.

აპლიკანტების საქმე არ წარმოადგენდა მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევას, როდესაც სახელმწიფო არ ასრულებდა მასზე კონტრაქტით დაკისრებულ ვალდებულებას საცხოვრებელთან დაკავშირებით. მთელს ქვეყანაში არსებობდა უამრავი ასეთი კოოპერაციული ბინათმშენებლობები, რომელთაც, მიუხედავად მათი მხრიდან სახელმწიფოსთვის ჯეროვნად შესრულებული გადასახადებისა, სანაცვლოდ არასოდეს მიუღიათ საცხოვრებელი. როგორც საქმეში არსებული სხვადასხვა სამართლებრივი აქტიდან, განსაკუთრებით კი 1992 წლის 9 ოქტომბრის მთავრობის რეზოლუციიდან გაირკვა, სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი სამოქალაქო ვალდებულების შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო საბჭოთა რუბლის უეცარი და მკვეთრი გაუფასურება და შედეგად – შესაბამისი მომსახურებისა და საქონლის ღირებულების გაზრდა, რასაც უნდა გადაეხადა სხვადასხვა კოოპერაციის ინდივიდუალური წევრების ფულადი კონტრიბუცია, როგორებიც ეს აპლიკანტები იყვნენ, რაც სახლის მშენებლობის ნაწილობრივი დაფინანსებისთვისაც კი არასაკმარისი იყო.

1993 წლის აპრილში საქართველოს სახელმწიფომ ბრუნვიდან ამოიღო კოლაფსში მყოფი საბჭოთა რუბლი, შემოიღო რა მის ნაცვლად წინასწარი ვალუტა, ე.წ. კუპონები, რამაც შემდგომში ასევე განიცადა ჰიპერ-ინფლაცია. 1995 წლის ოქტომბერში წინასწარი ვალუტა საბოლოოდ ჩაანაცვლა ქართულმა ლარმა.

სასამართლო განხილვები

2007 წლის 4 დეკემბერს განმცხადებლებმა ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ სარ-

ჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს სახელმწიფოს მიერ 1998 წლის 5 მარტის სახელმწიფო დავალიანების შესახებ აქტის 48 §1(გ) მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რაც გულისხმობდა კომპენსაციის გადახდას იმ ჩაუბარებელი ბინებისათვის მოთხოვნილი თანხა 4 მილიონ ევროზე მეტი იყო. თანხის რაოდენობა მათ ახსნეს უძრავი ქონების შესაბამისი საბაზრო ღირებულებით.

2008 წლის 22 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ უარყო განმცხადებელთა საჩივარი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. უპირველესად, სასამართლომ აღიარა, რომ სახელმწიფოს პასუხისმეგობობა კოოპერაციული ბინათმშენებლობის ამხანაგობების ცალკეულ წევრთან მიმართებით არსებულ სახელმწიფო შიდა დავალიანებას ანესრიგებს სახელმწიფო დავალიანების შესახებ აქტის 48 §1(გ) მუხლი. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ შეიმუშავა სახელმწიფო დავალიანების დაფარვის სქემა აღნიშნული აქტის 48 §4 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში.

საქალაქო სასამართლომ შემდგომში შეგვახსენა, რომ 2004 წლის 15 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ, სახელმწიფო დავალიანების შესახებ აქტის 48 §1 მუხლის საფუძველზე, დაადგინა *ad hoc* მინისტრთა კომისია არსებული მიზეზების შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად, იმ პრობლემებზე, რომლებიც უკავშირდებოდა სახელმწიფოს შიდა დავალიანების დაფარვას, კოოპერაციული ბინათმშენებლობების ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ კომისია კვლავ აღნიშნული პრობლემის შესწავლაზე მუშაობს, ჯერ ვერ წარმოადგინა რაიმე რეკომენდაცია ვერ პარლამენტში და ვერც პრეზიდენტის წინაშე. შესაბამისად, ნათელი საკანონმდებლო მექანიზმების არარსებობის პირობებში, რომლითაც უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს მიერ შიდა დავალიანების დაფარვა, სასამართლომ ვერ შეძლო საქმის გადაწყვეტა. ამგვარი მექანიზმის გარეშე, საქალაქო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ შეუძლებელია აპლიკანტებისათვის დავალიანების ოდენობის თანხის დაანგარიშებაც კი.

2008 წლის 11 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის 2008 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიმეორა, რომ აღნიშნული პრობლემის მომანესრიგებელი მექანიზმების არარსებობის გამო, შეუძლებელი იყო შესაბამისი დავალიანების დაფარვა, სასამართლოებისათვის არ არსებობდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა აპლიკანტთა სარჩელის განსახილველად. ვინაიდან აღნიშნული დავალიანების დაფარვა განუყოფლად დაკავშირებულია მის ინდექსაციასა და სხვა რთულ ფინანსურ გაანგარიშებებთან, სასამართლო ხელისუფლება ვერ გავა თავისი კომპეტენციის ფარგლებიდან შესაბამის მინისტრთა კომისიასთან მიმართებით, რომელიც კონკრეტულად ამ პრობლემის გადასაწყვეტად შეიქმნა.

2009 წლის 14 იანვარს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო აპლიკანტთა კასაცია და დავა საბოლოოდ შეწყდა.

შესაბამისი შიდა კანონმდებლობა

1998 წლის 5 მარტს მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო დავალიანების შესახებ. აღნიშნული კანონის პირველი („ბ“ პუნქტის) მუხლის მიხედვით, საშინაო ვალი, რომელიც წარმოიშვა მთავრობის მიერ ნაკისრი სხვადასხვა ვალდებულების შედეგად, წარმოდგენილი იყო ქალაქის ფულის ბანკნოტებში, რომლებიც არ იცვლებოდა ვალუტაზე, ან ოქროზე (ე.წ. *fiat money, or fiat currency*).

სახელმწიფო დავალიანების შესახებ კანონის 48 §1(გ) მუხლიდან გამომდინარე, საკონტრაქტო ვალდებულებები სახელმწიფომ იკისრა, მაგრამ არ შეასრულა კოოპე-

რაციული ბინათმშენებლობის ინდივიდუალური წევრების მიმართ, სხვა სამთავრობო ვალდებულებებთან ერთად და მიჩნეულ იქნა, როგორც საშინაო დავალიანების ერთ-ერთი ფორმა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ფინანსთა სამინისტროს უნდა შეემუშავებინა მექანიზმი, რათა დაფარულიყო ეს კონკრეტული დავალიანება 1998 წლის 1 სექტემბრისათვის.

2004 წლის 15 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიიღო რეზოლუცია №108, რომლითაც შეიქმნა *ad hoc* კომისია. კომისიის მიზანი იყო, გადანყვეტილიყო ქვეყნის შიდა საჯარო დავალიანების სხვადასხვა ფორმა ზემოხსენებული კანონის 48 §1(გ) მუხლის მიხედვით. კომისია შედგებოდა სხვადასხვა მინისტრისგან და უპირველესად, მათი ამოცანა იყო 2009 წლის 1 იანვრისთვის კონკრეტული რეკომენდაციების წარდგენა პრობლემის გადასაჭრელად. შედეგად, ამ ვადამ რამდენჯერმე გადაინა. პრემიერ-მინისტრის რეზოლუციის შესაბამისად, ამჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით, მას შემდეგ, რაც მასში ბოლოს – 2011 წლის 1 დეკემბერს შევიდა ცვლილებები, კომისიამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი რეკომენდაციები 2013 წლის 1 იანვრისთვის.

საჩივრის არსი

კონვენციის პირველი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით, აპლიკანტები ჩივიან, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო დავალიანების დაფარვა, რომელიც ავალდებულებდა, სახელმწიფო დავალიანების შესახებ აქტის 48 §1(გ) მუხლის მიხედვით, თანხის გადახდას.

სამართალი

წარმოდგენილი განაცხადი, კონვენციის პირველი ოქმის I მუხლის მიხედვით, ეხება მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ჩადენილ სავარაუდო დარღვევას სახელმწიფო დავალიანების შესახებ აქტის 48 §1(გ) მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, რომელიც უნდა განეხორციელებინა აპლიკანტების მიმართ.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო დავალიანების შესახებ აქტის 48 §1(გ) მუხლმა სახელმწიფო სამოქალაქო ვალდებულება სახელმწიფოს მხადრაჭერით ინდივიდუალური სამშენებლო კოოპერატივის წევრებთან მიმართებით გარდაქმნა ქვეყნის შიდა დავალიანებად. აღნიშნული აქტის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ვალი წარმოდგენილ იქნა არაკონვერტირებად ვალუტაში. შესაბამისად, ვინაიდან აპლიკანტთა საჩივარი შესაძლოა, გაგებულ იყოს მხოლოდ როგორც შიდა უზრუნველყოფა, მათ მიზანს წარმოადგენდა ფულადი სახსრების მიღება, რომლებიც შესაძლებელია მიაბარეს სახელმწიფოს 1991-92 წლებში. იგივე გამომდინარეობს აპლიკანტთა საჩივრების მტკიცებულებების ფორმულირებიდანაც, რომლებიც შეიტანეს ადგილობრივ სასამართლოებში და აშკარად მოითხოვდნენ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის თავიანთი შენატანების დაბრუნებას ახალ ვალუტაში.

სასამართლო შემდგომში აღნიშნავს, რომ განმცხადებლებმა საცხოვრებელის ასაშენებლად ფულადი თანხა შეიტანეს 1991-92 წლებში საბჭოთა რუბლებით, რომელთა რაოდენობაც, სხვა გარემოებების გარდა, დამოკიდებული იყო სასაქონლო და სამომხმარებლო ფასებზე, რაც აუცილებელი იყო იმ დროს მიმდინარე შესაბამისი ბინების მშენებლობისათვის. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამის განხორციელება შეუძლებელი გახდა, რადგან ვერ შენარჩუნდა საბჭოთა რუბლი, როგორც კანონიერი საგადახდელი საშუალება დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის და მათ შიგნით. საქართველოს არ ჰქონდა გავლენა საბჭოთა რუბლის მიმოქცევაზე, რისი

საბოლოო შედეგი იყო რუბლის მიმოქცევიდან ამოღება და დროებითი ვალუტის, კუპონების შემოღება 1993 წელს, რომელიც ასევე დაზარალდა ჰიპერინფლაციის გამო. შესაბამისად, ინფლაციის გამო გაიზარდა სამშენებლო სამუშაოების ფასები და განმცხადებელთა მიერ საბჭოთა რუბლებში შეტანილმა ანაბრებმა დაკარგეს მსყიდველობითი უნარი. შემდგომში, 15 წელზე მეტი ხნის შემდეგ, როდესაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი ფინანსური და ეკონომიკური ცვლილებები განხორციელდა, განმცხადებლები ცდილობდნენ ბინათმშენებლობისათვის შეტანილი დარჩენილი თანხები უკან დაებრუნებინათ უკვე ახალ ვალუტაში, ახდენდნენ რა თავიანთ გაანგარიშებას უძრავ ქონებაზე იმ დროისათვის არსებული ფასებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აპლიკანტთა სურვილია, მათ შენატანს ჰქონდეს მსყიდველობითი უნარი, ანუ აღდგეს მათი პირველადი გაუფასურებული შენატანები¹.

თუმცა, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ ფულადი დეპოზიტების მსყიდველობით უნარზე უფლების ქონა, რაც უზრუნველყოფს ინფლაციის და სხვა სახის ფინანსური კრიზისისაგან დაცვას, არ არის გარანტირებული კონვენციის პირველი ოქმის I მუხლით. აღნიშნული ნორმა არ ავალდებულებს სახელმწიფოს ფინანსური ზარალის კომპენსაციას, რომელიც გამონვეული იყო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდით, ან რაიმე სხვა სახის ეკონომიკური რეცესიით.² მართლაც, თანხების ხელახალი გადახდა, რომელიც საქართველოს სახელმწიფომ საბჭოთა რუბლებში გადაიხადა (მოათავსა დეპოზიტზე, ბანკში), ვალუტა, რომელიც პირველად გაუფასურდა და შემდეგ უკვე საერთოდ გაუქმდა, არსებითად დამოკიდებულია ინდექსაციის რეგულირების თაობაზე არსებული შესაბამისი/ზუსტი სამართლებრივი ნორმების არსებობაზე, ვალუტის კონვერტაციასა და სხვა რთულ ფინანსურ კალკულაციაზე. თუმცა, ვინაიდან ამგვარი წესები დღემდე არ არის მიღებული საქართველოში, მუშაობს რა ამჟამად შესაბამისი სამინისტროს კომისია ამ საკითხზე, აპლიკანტებს არ შეუძლიათ ლეგიტიმურად იდაონ მხოლოდ ზოგადად ფორმულირებული ნორმების საფუძველზე, სახელმწიფო დავალიანების შესახებ აქტის 48 §1(გ) მუხლის მიხედვით, რომ ფულის ნებისმიერი კონკრეტული რაოდენობა, რომელიც დენომინირებულია მიმდინარე ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში, შესაძლოა დაკვალიფიცირდეს, როგორც მათი „არსებული მფლობელობები“.³ აუცილებელი საფინანსო გაანგარიშებების თაობაზე საბაზისო წესების არარსებობის პირობებში არც ზემოხსენებული სახელმწიფო დავალიანების შესახებ აქტის ბუნდოვანი ნორმა შეიძლება განიმარტოს, როგორც აპლიკანტებისთვის „ლეგიტიმური მოლოდინების“ მიცემა, რომ დაასახელოს ნებისმიერი ასეთი კონკრეტული თანხები.⁴

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ წარმოდგენილი განაცხადი *ratione materiae* შეუსაბამოა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლთან კონვენციის 35 §3 (ა) მუხლთან და უარყოფილ უნდა იქნეს, კონვენციის 35 §4 მუხლის მიხედვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ერთსულოვნად აცხადებს წარმოდგენილ განაცხადს დაუშვებლად.

¹ Contrast with *Ališić and Others v. Bosnia and Herzegovina and Other Member States*, no.60642/08, §§53 55, 17 October 2011

² *Appolonov v. Russia* (dec.), no. 67578/01, 29 August 2002; and *Kireev v. Moldova and Russia* (dec.), no. 11375/05, 1 July 2008.

³ *Boyajyan v. Armenia*, no. 38003/04, § 55, 22 March 2011; *Rudzicka v. Poland* (dec.), no. 45223/99, ECHR 1999 VI; and *Gayduk and Others v. Ukraine* (dec.), nos. 45526/99 et al., ECHR 2002 VI (extracts).

⁴ Compare with, *mutatis mutandis*, *Klaus and Yuri Kiladze v. Georgia*, no. 7975/06, §§ 57 60, 2 February 2010.

**მაია ოყროშიძე და გიორგი ოყროშიძე საქართველოს
წინააღმდეგ**

**Maya OKROSHIDZE and Giorgi OKROSHIDZE vs.
Georgia (№60596/09)**

(მხარეთა მორიგება)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მესამე სექცია), 2012 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე მხედველობაში მიიღო 2009 წლის 23 ოქტომბერს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი, ასევე – ოფიციალური დეკლარაციები საქმეში მეგობრულ მორიგებაზე თანხმობის შესახებ,

განხილვის შემდეგ გამოიტანა შემდეგი განჩინება:

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლები მაია ოყროშიძე („პირველი მომჩივანი“) და გიორგი ოყროშიძე („მეორე მომჩივანი“) არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც დაიბადნენ 1968 და 2007 წლებში და ცხოვრობენ თბილისში.

2007 წლის 2 აგვისტოს პირველ მომჩივანს, ქორწინების გარეშე, შეეძინა შვილი – გიორგი ოყროშიძე (მეორე მომჩივანი).

2008 წლის 28 იანვარს პირველმა მომჩივანმა შეიტანა სამოქალაქო სარჩელი გ.ს.-ს წინააღმდეგ, რომელთანაც მას, სავარაუდოდ, 2004 წლიდან ჰქონდა ურთიერთობა. სარჩელის მიზანი იყო, დაედგინა მამობა მეორე მომჩივანისთვის და მოეპოვებინა ალიმენტი.

სამართალწარმოების პროცესში თბილისის საქალაქო სასამართლომ გასცა განკარგულება დნმ-ის ტესტის ჩატარების შესახებ. ტესტი ჩაატარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ და მისი შედეგების მიხედვით, რომელიც 2008 წლის 28 აპრილს გახდა ცნობილი, 99.99 %-ით იყო იმის ალბათობა, რომ გ.ს. მეორე მომჩივანის მამა იყო („დნმ-ის ტესტის შედეგები“).

2008 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლომ, დაუსაბუთებლობის მოტივით, არ დააკმაყოფილა პირველი მომჩივანის სარჩელი. აღიარა რა, რომ დნმ-ის ტესტის შედეგები ადასტურებდა ბიოლოგიური მამობის ფაქტს, სასამართლომ დაასკვნა, რომ გენეალოგიური ხაზი მოპასუხესა და მეორე მომჩივანს შორის არ იყო საკმარისი ოფიციალური მამობის დასადაგენად, სამოქალაქო კოდექსის 1190-ე (§3) მუხლის თანახმად. სასამართლომ განაცხადა, რომ ბიოლოგიური კავშირი არ არის არსებითი, მთავარი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამოქალაქო კოდექსის ზემოხსნებულ განმარტებას, რომლის მიხედვით: „არსებობს გარემოებები, რომლებმაც შეიძლება დაადასტუროს ოჯახური თანაცხოვრების ფაქტი მოპასუხესა და ბავშვის დედას შორის, ასევე საერთო მეურნეობის წარმოების ან შვილის აღზრდაში მოპასუხის მონაწილეობის ფაქტი“. თუმცა, სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველმა მომჩივანმა ვერ დაამტკიცა მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა.

2008 წლის 23 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა 2008 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, ხოლო 2009 წლის 23 აპრილს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მომჩივანის საკასაციო სარჩელი დაუშვებლად ცნო.

შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

2011 წლის 20 დეკემბრამდე, როდესაც წინამდებარე საქმეზე შიდა სამართალწარმოება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, სამოქალაქო კოდექსის 1190-ე (§3) მუხლი შემდეგი რედაქციით იყო ჩამოყალიბებული:

მუხლი 1190 (§3)

„მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას“.

2011 წლის 20 დეკემბერს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლში, კერძოდ, მის მე-3 და მე-4 პუნქტებში შევიდა ცვლილებები, რათა დნმ-ის ტესტის შედეგები გამხდარიყო ოფიციალური მამობის დადგენის ძირითადი საფუძველი, რასაც მოჰყვებოდა სხვა მსგავსი ფაქტორები, რომლებიც უკვე იყო აღნიშნული 1190-ე (§3) მუხლის ძველ ვერსიაში. შესაბამისად, კოდექსის შეცვლილი დებულებები შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა:

მუხლი 1190 §§3-4

„ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს.

თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველით ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდას ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას“.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე (§1 „ა“ და „ე“) მუხლის თანახმად, მოსარჩევეები ალიმენტის გადახდევინებისა და არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე ყოველგვარი სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო დავაში გამარჯვებული მხარე უფლებამოსილია, მეორე მხარისაგან მოითხოვოს სამართალწარმოების პროცესში განეული ყველა ხარჯის ანაზღაურება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე (§1) მუხლი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

„კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ ... (ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად

თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადანყვებილებიდან გამომდინარეობს“.

სამართალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8, მე-13 და მე-14 მუხლებზე, აგრეთვე პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი და მე-12 ოქმის 1-ელ მუხლებზე დაყრდნობით, განმცხადებლები ასაჩივრებდნენ ეროვნული სასამართლოების უარს დნმ-ის ტესტის შედეგების, როგორც ოფიციალური მამობის დადგენის საფუძვლის, ცნობასა და, შესაბამისად, ბავშვისთვის ალიმენტის გადახდაზე.

2011 წლის 15 თებერვალს სასამართლომ მთავრობას აცნობა აპლიკანტთა მიერ კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია ოფიციალური მამობის დადგენაზე ეროვნული სასამართლოების უარის შესახებ, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ბიოლოგიური მამობის ფაქტი დნმ-ის ტესტის შედეგებით დადასტურდა.

2012 წლის 7 სექტემბრისა და 26 ოქტომბრის წერილებით განმცხადებლებმა და მთავრობამ სასამართლოს აცნობეს, რომ მათ სურდათ წინამდებარე საქმეზე მორიგება, რა მიზნითაც ორივე მხარე თანახმა იყო შემდეგ პირობებზე:

„1. მთავრობა აღიარებს, რომ არსებობდა ხარვეზი სამოქალაქო კოდექსში, რომელმაც ხელი შეუშალა განმცხადებლებს კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული უფლებებით სრულყოფილად სარგებლობაში.

2. მხარეები აღნიშნავენ, რომ 20 დეკემბერს, სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლში შევიდა ცვლილებები და ეს მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

მუხლი 1190 §§3-4

„ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს.

თუ ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განმცხადებელი პირის (განცხადებაში მითითებული პირის) ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას“.

3. მთავრობა აღიარებს, რომ:

(i) განმცხადებლებს მიენიჭათ უფლება, მოითხოვონ ეროვნულ დონეზე სამოქალაქო საქმის გადასინჯვა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე (§1 „ზ“) მუხლის საფუძველზე), რათა დადგინდეს მამობა და განმცხადებლებმა მიიღონ ალიმენტი სამართალწარმოების დაწყების თარიღიდან ათვლით – 2008 წლის 28 იანვრიდან;

- (ii) მამობა უნდა დადგინდეს, *inter alia*, დნმ-ის ტესტის შედეგების საფუძველზე, რომელიც მეორე განმცხადებელს უკვე ჩაუტარდა;
 - (iii) აპლიკანტები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე (§1 „ა“ და/ან „ე“) მუხლის საფუძველზე, გათავისუფლებული არიან აღნიშნულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სასამართლო ხარჯისგან;
 - (iv) მომჩივნებს ექნებათ უფლება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, მოითხოვონ ყველა ხარჯისა და დანახარჯის ანაზღაურება, რომლებიც მათ გასწიეს წინამდებარე სამართალწარმოების დაწყების პირველივე დღიდან – 2008 წლის 28 იანვრიდან.
4. მთავრობა თანახმაა, განმცხადებლებს გადაუხადოს 3 000 (სამი ათასი) ევრო ზინის ანაზღაურების სახით.
 5. მთავრობა თანახმაა, განმცხადებლებს გადაუხადოს 1 278,9 ევრო და 1 797.5 ფუნტი სტერლინგი (2 228.37 ევრო) სასამართლოში განეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების მიზნით.
 6. განმცხადებლები თანახმანი არიან, უარი თქვან მთავრობის წინააღმდეგ ნებისმიერ სხვა პრეტენზიაზე იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებმაც განაპირობა წინამდებარე საქმეზე საჩივრის შეტანა.
 7. შესაბამისად, მხარეები თანახმანი არიან, რომ სასამართლომ ამორიცხოს წინამდებარე საქმე განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, კონვენციის 39-ე (§3) მუხლის შესაბამისად და აღნიშნავენ, რომ 39-ე (§4) მუხლის საფუძველზე წინამდებარე საქმე გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მორიგების პრობემის შესრულებას.“

სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეთა შორის მიღწეულ მორიგებას. ის კმაყოფილია, რომ მორიგება ეფუძნება კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით დადგენილ უფლებათა პატივისცემას და ვერ ხედავს რაიმე გარემოებას, რომელიც მოითხოვდა საჩივრის შემდგომ განხილვას.

სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ გადასახდელი თანხა უნდა კონვერტირდეს მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და ანგარიშსწორება უნდა მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების მთავრობისთვის შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში, კონვენციის 39-ე (§3) მუხლის თანახმად. თუ ანგარიშსწორება არ განხორციელდა ზემოხსენებულ ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია წინამდებარე საქმის ამორიცხვა საქმეთა ნუსხიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ, კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად.

თამაზ ბერიძე საქართველოს წინააღმდეგ Case of Tamaz Beridze vs. Georgia (№16206/06)

(ცალმხრივი დეკლარაცია)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მესამე სექცია) 2013 წლის 30 აპრილის სხდომაზე მხედველობაში მიიღო 2006 წლის 12 აპრილს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი, ასევე – მოპასუხე სახელმწიფოს მიერ 2012 წლის 15 ნოემბერს წარმოდგენილი დეკლარაცია, რომლითაც მან სასამართლოსგან მოითხოვა წინამდებარე საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა და აღნიშნულ დეკლარაციაზე მომჩივნის პასუხი, რომელთა

განხილვის შემდეგ გამოიტანა წინამდებარე განჩინება:

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

აპლიკანტი თამაზ ბერიძე საქართველოს მოქალაქეა. დაიბადა 1950 წელს და ცხოვრობს ქუთაისში.

2004 წლის 31 აგვისტოს განმცხადებელი, რომელიც იმ პერიოდისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე იყო, დააკავეს ქრთამის ალების გამო. იგი დააკავეს ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაზე მაშინ, როდესაც სავარაუდოდ მსხვერპლმა მას მანქანაში დაუტოვა 3.000 აშშ დოლარი. ეს ოპერაცია პოლიციამ მსხვერპლის მიერ საჩივრის მიღების შემდეგ დაგეგმა. ჩხრეკა, რომლის დროსაც პოლიციამ მომჩივნის ავტომანქანიდან ამოიღო მარკირებული აშშ დოლარების ბანკნოტები, ჩატარდა ორი დამოუკიდებელი მოწმის თანდასწრებით.

2004 წლის 3 სექტემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გასცა ბრძანება აპლიკანტისთვის სამთვლიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. შემდგომში განმცხადებელს პატიმრობის ვადა რამდენჯერმე გაუხანგრძლივდა. აპლიკანტმა წამოაყენა პრეტენზია იმის შესახებ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების დროს მისი წინასწარი პატიმრობის მთლიანი ვადა გაგრძელდა 18 თვესა და 11 დღეს და გადააჭარბა იმ დროისთვის დაშვებულ წინასწარი პატიმრობის 12-თვიან მაქსიმალურ პერიოდს.

2006 წლის 7 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ ცნო ქრთამის ალებაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე (§1) მუხლის საფუძველზე და მას შვიდწლიანი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლომ, დაუსაბუთებლობის მოტივით, უარყო აპლიკანტის არგუმენტი, რომ მას ავტომანქანაში თანხა ჩაუდეს. სასამართლომ გაითვალისწინა მსხვერპლის ვერსია, რაც შემდეგ გამყარდა ფარულ ოპერაციაში მონაწილე პოლიციის თანამშრომლებისა და ჩხრეკის დამოუკიდებელ მოწმეთა ჩვენებებით. ამას გარდა, სასამართლო დაეყრდნო განმცხადებლის ავტომანქანის ჩხრეკისა და სხვა კრიმინალისტიკური ღონისძიებების შედეგებს, რომლებითაც მომჩივნის ხელებზე აღმოჩნდა ამოღებული ამერიკული ბანკნოტების ქიმიური ნივთიერების კვალი

2007 წლის 5 აპრილს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-5(§1)

მუხლზე დაყრდნობით, აპლიკანტმა პრეტენზია წამოაყენა იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს ნებართვის გარეშე მისი წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა აჭარბებდა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ 72-საათიან მაქსიმალურ პერიოდს. კონვენციის მე-6 (§1) მუხლზე დაყრდნობით, აპლიკანტმა აგრეთვე წამოაყენა პრეტენზია პირველ ინსტანციაში მიმდინარე სისხლისსამართლებრივი განხილვების დროს მისი სავარაუდო უკანონო პატიმრობის თაობაზე.

სტრასბურგის სასამართლოში 2007 წლის 4 ოქტომბერს შეტანილი დამატებითი საჩივრით აპლიკანტმა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე გაასაჩივრა მის წინააღმდეგ აღძრული სისხლისსამართლებრივი განხილვების შედეგები.

2011 წლის 6 სექტემბერს სტრასბურგის სასამართლომ მთავრობას აცნობა განმცხადებლის პრეტენზიები, რომლებიც წამოყენებული იყო კონვენციის მე-5 (§1) საფუძველზე და ეხებოდა სასამართლოს ნებართვის გარეშე მისი წინასწარი დაკავების პერიოდის სავარაუდო უკანონობას და ასევე, მის პატიმრობას პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების დროს.

სამართალი

ა. კონვენციის მე-5 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები

მას შემდეგ, რაც მოცემულ საქმეზე მორიგება ვერ შედგა, 2012 წლის 15 ნოემბრის წერილით მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ მან განმცხადებელს შესთავაზა ცალმხრივი დეკლარაცია საჩივარში წამოჭრილი საკითხების გადაჭრის მიზნით. მთავრობამ სთხოვა სასამართლოს, რომ საჩივრი ამოერიცხა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად.

დეკლარაციის შესაბამისი ნაწილები შემდეგნაირად იკითხება: :

„... წინამდებარე ცალმხრივი დეკლარაციით მთავრობა დანაზებით აღიარებს, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 (§1) მუხლი, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წინასწარი დაკავების 72-საათიანი პერიოდის გადაჭარბების გამო. ამას გარდა, აპლიკანტის პატიმრობის ვადამ პირველი ინსტანციის სასამართლოში მისი საქმის განხილვის დროს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ პერიოდს დაახლოებით 6 თვით გადააჭარბა.

მთავრობა მზად არის, ბ-ნ ბერიძეს გადაუხადოს 4.500 ევრო. აღნიშნული თანხა, რომელიც დაფარავს მორალურ და მატერიალურ ზიანს, ასევე ყველა ხარჯსა და დანახარჯს, უნდა კონვერტირდეს მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად, ხოლო ანგარიშსწორება უნდა მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების მთავრობისთვის შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 37-ე (§1) მუხლის თანახმად. თუ ანგარიშსწორება არ განხორციელდა ზემოხსენებულ 3-თვიან ვადაში, მთავრობა იღებს ვალდებულებას, დამატებით გადაიხადოს ჩვეულებრივი პროცენტები. აღნიშნული ვადის დასრულებიდან საბოლოო მოგვარებამდე ...

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მთავრობას მიაჩნია, რომ ცალმხრივი დეკლარაცია ადეკვატურად პასუხობს მომჩივნის მიერ კონვენციის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს“.

2012 წლის 12 დეკემბრის წერილში განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მას არ აკმაყოფილებდა ცალმხრივი დეკლარაციის პირობები, ვინაიდან მთავრობამ არ აღიარა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის უკანონობა. მან აგრეთვე გააპროტესტა მთავრობის მიერ შეთავაზებული თანხის ოდენობა.

სასამართლო შეგვახსენებს, რომ კონვენციის 37-ე მუხლი მას საშუალებას აძლევს, ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, როდესაც საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად ის მიდის აღნიშნული მუხლის „ა“, „ბ“ ან „გ“ პუნქტებში მოცემულ რომელიმე დასკვნამდე. 37-ე (§1 „გ“) მუხლი სასამართლოს საშუალებას აძლევს, ამორიცხოს საჩივარი საქმეთა ნუსხიდან, თუ:

„... სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით, საჩივრის შემდგომი შესწავლა აღარ არის გამართლებული“.

სასამართლო ასევე შეგვახსენებს, რომ გარკვეულ გარემოებებში მას შეუძლია, ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან კონვენციის 37-ე (§1 „გ“) მუხლის თანახმად, მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, მაშინაც კი, როდესაც მომჩივანს სურს საქმის განხილვის გაგრძელება.¹ ამ მიზნით, სასამართლო ყურადღებით განიხილავს დეკლარაციას მის პრეცედენტულ სამართალში ჩამოყალიბებული პრინციპების, განსაკუთრებით *Tahsin Acar*-ის გადაწყვეტილების, გათვალისწინებით².

მოცემულ საქმეში მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის პირობების სათანადოდ შესწავლის შემდეგ სასამართლო შენიშნავს, რომ დეკლარაცია შეიცავს კონვენციის მე-5 (§1) მუხლის დარღვევის საკმარისად ნათელ აღიარებას. ამ თვალსაზრისით, სასამართლო აღნიშნავს, რომ უკვე არსებობს კარგად ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართალი სასამართლოს ნებართვის გარეშე წინასწარი დაკავების პერიოდის კანონიერების შესახებ წამოყენებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით³. მთელ რიგ საქმეებში სასამართლომ ასევე ჩამოაყალიბა თავისი პრაქტიკა სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პერიოდში სასამართლოს ნებართვის გარეშე შეფარდებულ პატიმრობასთან დაკავშირებული პრეტენზიების შესახებ⁴.

აქედან გამომდინარე, მთავრობის დეკლარაციაში მითითებული აღიარების, ისევე როგორც შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მეტად აღარ არის გამართლებული საჩივრის განხილვა (კონვენციის 37-ე (§1 „გ“) მუხლი). უფრო მეტიც, ზემოხსენებული მოსაზრებების ფონზე და განსაკუთრებით, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული ნათელი და ამომწურავი პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლო კმაყოფილია, რომ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემა აღარ მოითხოვს საჩივრის განხილვის გაგრძელებას (კონვენციის 37-ე (§1) მუხლი *in fine*).

სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ გადასახდელი თანხა უნდა კონვერტირდეს მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და ანგარიშსწორება უნდა მოხდეს განჩინების მთავრობისთვის

¹ *Taktakishvili v. Georgia* (dec.), no. 46055/06, 16 October 2012

² *Tahsin Acar v. Turkey*, [GC], no. 26307/95, §§ 75-77, ECHR 2003-VI); *WAZA Spyika z o.o. v. Poland* (dec.) no. 11602/02, 26 June 2007; and *Sulwicska v. Poland* (dec.) no. 28953/03

³ *Salayev v. Azerbaijan*, no. 40900/05, §§ 44-48, 9 November 2010; *Farhad Aliyev v. Azerbaijan*, no. 37138/06, §§ 166-169, 9 November 2010, and *Osypenko v. Ukraine*, no. 4634/04, §49, 9 November 2010

⁴ *Korchuganova v. Russia*, no. 75039/01, §56, 8 June 2006; *Baranowski v. Poland*, no. 28358/95, §§ 50-58, ECHR 2000 III, and *Gigolashvili v. Georgia*, no. 18145/05, §106, 8 July 2008

შეტყობინებიდან სამი თვის ვადაში, კონვენციის 37-ე (§1) მუხლის თანახმად. ამასთანავე, ის მთავრობის დეკლარაციას განმარტავს იმგვარად, რომ თუ ანგარიშსწორება არ განხორციელდა ზემოხსენებულ ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

და ბოლოს, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავრობის მხრიდან ცალმხრივი დეკლარაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში, განსახილველ საქმეთა ნუსხაში საჩივარი კვლავ აღდგება, კონვენციის 37-ე (§2) მუხლის შესაბამისად⁵.

ბ. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

რაც შეეხება განმცხადებლის მიერ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიას მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შედეგებთან დაკავშირებით, სასამართლო მის ხელთ არსებული მასალების გათვალისწინებითა და გასაჩივრებული საკითხების მის კომპეტენციას განკუთვნილ ფარგლებში, აცხადებს, რომ აღნიშნული მასალებით არ გამოვლინდა კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რაიმე ნიშნები. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და უარყოფილ უნდა იქნეს, 35-ე (§3-„ა“ და §4) მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

მხედველობაში იღებს მოპასუხე მთავრობის მიერ კონვენციის მე-5 (§1) მუხლის შესახებ გაკეთებული დეკლარაციის შინაარსსა და მისგან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების პირობებს;

კონვენციის 37-ე (§1 „გ“) მუხლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვის შესახებ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს ეხება კონვენციის მე-5 (§1) მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს;

მიუღებლად აცხადებს საჩივრის დანარჩენ ნაწილს.

⁵ Josipovic v. Serbia (dec), no. 18369/07, 4 March 2008

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 985172
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 985172
www.supremecourt.ge